ავტორის შენიშვნა: აუცილებლად გასათვალისწინებელია, შემდეგი მეტაფოები

ცეკვა - შერკინება ბრძოლა, მეწყვილე - მოწინააღმდეგე, ოპონენტი, მელოდია და მასთან დაკავშირებული ყველაფერი უბრალო სიტყვის მასალა.

***

მალე გათენდებოდა. ალექსანდრე გაყინულ მიწის ზედაპირთან იდგა, მძიმედ სუნთქავდა და თან გრძნობდა თუ როგორ უყინავდა ფილტვებს ცივი ნიავი, დაიხარა, ჯერ თითები შეახო გაყინულ მიწას, შემდგომ კი ერთმანეთს... ცერა თითით დაუყვა თითოეულ მათგანს, ირგვლივ იყო ისეთი... სიჩუმე და სიმშვიდე და სინაზე? გაეღიმა თავის ფიქრებზე, შეეცადა უარი ეთქვა "მგძნობიარე მე"-ზე, რადგან მალე პირველი მელოდია ჩაირთვებოდა, რომელსაც მხოლოდ "რაციონალური მე"-ს საშუალებით თუ გაუმკლავდებოდა. ზურგს უკან ხმაური მოესმა, არც კი შებრუნებულა ისე იცნო "სტუმარი".

- ზუსტად ვიცოდი, რომ აქ გიპოვიდი... - დაიწყო საუბარი ნატამ, დაიწყო მისკენ სვლა და თან გააგრძელა

- გეტყოდი მომენატრე'მეთქი, მაგრამ მოგატყუებ - ალექსანდრეს გაეღიმა, როცა გოგონას ხმა გაიგონა. იცოდა რა, ნატა უმალ მოკვდებოდა, ვიდრე საცეკვაო მოედანს დააკლდებოდა. არ მიბრუნებულა ისე უპასუხა

- ჩვენი გრძნობები ორმხრივია.. პატარა ქალბატონო! - შემდგომ წამოდგა, შებრუნდა, გაუღიმა და გააგრძელა

- როგორც წესი მისალმებით იწყებენ ხოლმე

- როგორც წესი ნაბიჭვარივით არ იქცევიან

- როგორც წესი ამის მიზეზს არ აძლევენ

- კიდევ დიდხანს უნდა გავაგრძელოთ ეს ჰიპოტეტური საუბარი?

- რატომღა ამყევი...?

- Merhaba.. კმაყოფილი ხარ?

- დიახ, ფრიად კმაყოფილი... ახალი სიტყვაც გისწავლია, გილოცავ! - მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა კაცმა შემდგომ კი დაამატა

- მაინც რისთვის მოხვედი აქ?

- დასახმარებლად

- გმადლობ, მაგრამ შენი დახმარება არ მჭირდება!

- ნუთუ მეორე პილოტის გარეშე აპირებ საცეკვაო მოედანზე გასვლას? - მშვიდი ხმით კითხა გოგონამ

- ვფიქრობ ეს ის დროა, როცა ჩვენეული მეტაფორული საუბარი უნდა შევწყვიტოთ

- კარგი.. კიბატონო! - გამოცრა ნატამ მეტად მიუახლოვდა ალექსანდრეს და ერთიანად ბრაზში გახვეული კითხა

- ნუთუ ჩემს გარეშე აპირებ [ამ დაწყევლილ] ბრძოლის ველზე გასვლას?

- ვფიქრობ, მარტოც გავუმკლავდები!

- ღვთის გულისათვის, ალექს, ნუთუ ათი წლის წინ მეორე შანსი იმისთვის მომეცი, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩემი იმედი არ გქონოდა?

- დიახ, გაპატიე, მაგრამ არ შევრიგებულვართ და ორივემ ვიცით, რომ ეს ერთი და იგივე არ არის!

- მაშინ სხვა გზა არ მრჩება, იმის გარდა რომ თავად გავიჭრა [ამ დაწყევლილ] ფრონტის ხაზზე და პირველი ვეკვეთო იმ ათას ორასი წლის ცივსისხლიან უკვდავ [წყეულ] ჯალათს, რადგან არ ვაპირებ სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე და ვნახო, როგორ წირავ მთელი სამყაროს ბედს მხოლოდ იმირომტომ გმირობანას თამაში გადაწყვიტე!

- არ გენდობი და არ ვიცი მეტად გასაგებად როგორ აგიხსნა ეს! - ალექსანდრე მშვიდი ხმით საუბრობდა, აუღელვებლად, ნატა კი მთელი ემოციით იხარჯებოდა, თუმცა მაინც ვერ შეძლო გამოეწვია კაცში ცოტაოდენი თანაგრძნობაც კი.

- მაინც რა შემოგთავაზა? - საუბარი განაახლა ალექსანდრემ

- საიდან მოიტანე რომ რამე შემომთავაზა?

- რადგან კარგად იცის, თუ გინდა ადამიანი შენთან დარჩეს საუკეთესო ოთახი უნდა შესთავაზო!

- ცდები! დედა'დედოფალმა ელენამ დახმარება მთხოვა, როცა უარით გავისტუმრე, დამემუქრა და ამით დამითანხმა! მაშინ არც კი მიფიქრია რომ ასე შემომიტრიალდებოდა ყველაფერი.. ნუთუ ამას უფლებას მისცემ.. - სათქმელი ვერ დაასრულა ნატამ, რადგან ალექსანდრე მთელი სხეულით მიუტრიალდა გაღიზიანებული

- დაგაშინა არა? შეგეძლო ჩემთან მოსულიყავი და მე მოვაგვარებდი, როგორც ყოველთვის! მაგრამ არა! ასე არ მოიქეცი! როცა ვინმე გაშინებს ან გემუქრება მოდიხარ ჩემთან! თვით მაღალი ღმერთი თუ განსხეულდება, დაგემუქრება ან/და დაგაშინებს მოდიხარ ჩემთან.. ყველაფერს მეუბნები მე.. მიყვები მე! ამას ნიშნავს ეს დაწყევლილი ერთგულება! - თქვა ალექსანდრემ, ისევ ნახევრად შებრუნდა, ამომავალ მზეს უყურებდა და გააგრძელა - როგორც თავად ამბობ ხოლმე, ყველაფერი ღირებული რაც კი იცი მე გასწავლე! მაგრამ ერთგულებას ვერავინ ვერ გასწავლის. აქ მეტად მარტივად არის საქმე, რადგან ერთგული ან ხარ ან არა!

- მაგრამ ამისთვის ხომ დავისაჯე კიდეც, არა? - ჩაეკითხა გოგონა და თავისი მოკვეთილ მარჯვენა მკლავზე მიუთითა. კაცმა თავი უბრალოდ გააქნია და არაფერი არ უპასუხა.

- Alex lütfen..

- Hayır! - ალექსანდრეს უარმა მეტად გააბრაზა გოგონა, მისი ერთადერთი ხელი, ჯერ გაშალა, შემდგომ კაცისკენ გაიშვირა ძირს ჩამოსწია და მომუშტა. კაცი მოწყვეტით დაეცა მუხლებზე, თან ისე რომ განძრევასაც ვერ ახერხებდა. გოგონამ მის ირგვლივ დაიწყო სიარული, როგორც ზვიგენმა სანამ მსხვერპლს თავს დაესხმება და თან ამბობდა

- ყველას დააჯერე, რომ ძლიერი ხარ და დაუმარცხებელი, მაგრამ მე ხომ უკეთ ვიცი, არა?! საინტერესოა როგორ აპირებ ათას ორას წლოვანი უკვდავების მილიონიანი არმიის დამარცხებას, მაშინ როცა ერთმა პატარა გოგონამაც კი შევძელი შენი დაჩოქება!

- შენი აზრით, ნებისმიერ სხვას იმდენად ახლოს მოსვლის უფლებას მივცემდი, რომ შეძლებდა ჩემთვის რამე დაეშავებინა?! - კაცის ამ სიტყვებმა გოგონა ოდნავ მოადუნა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის,

რომ ალექსანდრე გათავისუფლებული. წამიერად ზურგს უკან ამოუდგა გოგონას, მარცხენა ხელი კისერზე , მარჯვენა ხელი კი მუცელზე მოჩვენებითად წაუჭირა და თავმომწონედ თქვა

- ქიში და შამათი.. პატარა ქალბატონო!

- მეგონა გულწრფელი იყავი

- ვიყავი.. არ ვიყავი.. ეს სულერთია.. როცა ბრძოლის ველზე ხარ, პირველრიგში, უნდა უფრთხილდე ყველაზე ახლობელს, რადგან თუ შესაძლებლობა მიეცემა პირველი სწორედ ის დაგესხმება თავს! და ხომ არ შეგახსენო ერთი მნიშვნელოვანი შეგონება " ფხიზლად იყავი! ყოველთვის ყველგან და ყველაფერში! ". მალე სხვებიც გამოჩნდნენ გარდაუვალ ბრძოლაში დასახმარებლად.

ალექსანდრეს თითქოს ზურგი აეწვა - ვიღაც მიშტერებოდა, ამიტომაც გოგონას მოეხსნა და შებრუნდა. ლომკაცა თვალს არ აცილებდა და კბილებს აწიკწიკებდა, ჯერ ისევ ადამიანის ფორმა ჰქონდა, თუმცა სულ მცირე სტიმული ჭირდებოდა, რომ ლომად გარდასახულიყო და ალბათ თავსაც დაესხმებოდა მას. ალექსანდრეს ბრაზი მოერია, როცა ვიღაც ასე ცალსახად იჩენდა მის მიმართ დაუმორჩილებლობას, ბრაზს თუ ზიზღს?! მაშინვე მის ძველ მეგობარს გახედა და მბრძანებლურად უთხრა

- ლუკა! უთხარი შენს ძაღლს თუ ცხოველთა მეფეს იპოვოს თავისი წყეული ადგილი, თორემ მომიწევს თავად მივუჩინო! - ლუკამ ფორმალურად მიიხედა უკან, შემდგომ თვალი გაუსწორა ალექსანდრეს და ისე უპასუხა

- ის ჩემი მებრძოლია და არა მსახური! თუ რამე პრობლემა გაქვს ვშიშობ თავადვე უნდა გაერკვიო...! - ალექსანდრემ მახვილი მოიმარჯვა და მათკენ დაიწყო სვლა ამ დროს ლუკას და, მარი, შეეგება გზად

- ნუთუ პირველივე მელოდიამდე შენივე მებრძოლზე აპირებ თავდასხმას? ჩვენ ხომ აქ სწორედ შენს მხარეს საბრძოლველად მოვედით, არა? რადგან ჩაისვარე! და ახლა სწორედ ჩვენი დახმარებით აპირებ დასუფთავებას!.. და ერთადერთი მიზეზი თუ რატომაც ხარ ჩვენი გუნდის კაპიტანი.. - მაშინათვე ენაზე იკბინა ქალმა, ნატას გახედა და უთხრა - მომიტევე მეტაფორულად მინდოდა და... - შემდგომ მზერა ისევ ალექსანდრესკენ

გადაიტანა - ჩვენი ჯარის გენერალი, რადგან თავადვე მოვინდომეთ ასე! მაშინ როცა შენივე ღვიძლი და'ძმაც კი არ გამოცხადდა, დასახმარებლად!

- ბოლო ორასი წელია გენერალი ვარ, და იმიტომ ნამდვილად არა, რომ შ ე ნ გადაწყვიტე ასე! რეიტინგშიც პირველი ვარ ოთხმოცი ათასი უკვდავის სიცოცხლის მოსპობით... და რადგან დედამიწის ზურგზე არავის შეუძლია ჩემი დამარცხება ნუთუ ფიქრობ, რომ შენ გამიმკლავდები? - უთხრა ალექსანდრემ მარჯვენა ხელი კისერში წაუჭირა ქალს და ჰაერში ასწია. მარიმ ორივე ხელი კაცის ხელს ჩასჭიდა მარჯვენა მუხლი მკერდზე მიადო, თავისი ხელებით მისი ხელი შეიხსნა კისრიდან მარცხენა მოხრილი მუხლი ყბაში ამოსდო, ჰაერში დატრიალდა და მიწაზე დახტა

- უმალ შენთან ბრძოლას შევეწირები, ვიდრე უფლებას მოგცემ ერთი მაინც ჩემი ხალხიდან დაშავდეს შენს გამო!

- მეგობრებო.. გთხოვთ.. იქნებ თავი ხელში აიყვანოთ და ძალები საცეკვაოდ შემოინახოთ?! რადგან ჩვენი დღევანდელი მეწყვილეები ახალბედები კი არა ათას ორას წლოვანი ცივსისხლიანი უკვდავი ჯალათები არიან

- მიხარია რომ შენს ნათლულს მაინც ესმის თუ რისთვის შევიკრიბეთ აქ სინამდვილეში..- ჩაცინებით თქვა მარიმ და ჯერ ალექსანდრეს გახედა შემდგომ მზერა ნატაზე გადაიტანა - კაპიტანო...! - თავის დაკვრით თქვა ქალმა და უკან ჩადგა მწყობრში. ალექსანდრემ ლომკაცას გახედა აღარ აწიკწიკებდა კბილებს და მის უკან იყურებოდა. ალექსანდრე შემობრუნდა და ნატა შერჩა ხელში. შემდგომ მისკენ გააგრძელა სვლა

- ეს რა იყო? - კითხა გაკვირვებულმა გოგონამ. ალექსანდრე უფრო ახლოს მივიდა მასთან და თითქმის ჩასჩურჩულა

- გულთან ახლოს ნუ მიიტან, ეს უბრალოდ თამაშია პატარა ქალბატონო და დამარცხდება ის, ვინც პირველი აჰყვება თავის შეგრძნებებს

- თამაში?

- დიახ, როცა მმართველ გუნდში განხეთქილებას დაინახავენ, ნებისმიერი, ვისაც ღალატი უდევს გულში ამას გამოიყენებს და ეცდება ზურგში დანის ჩარტყმას

- ვერაფერი ვერ გავიგე

- მაშინ დაფიქრდი თუ რატომ ჰყავს ლუკას მისი საუკეთესო ჯალათები, და'ძმა გურგენიძეები სათადარიგოთა სკამზე იმის ნაცვლად, რომ წინა რიგებში დააყენოს

- რატომ?

- როგორც ჩანს ყურადღებით არ მისმენ... იმირომტომ თუ ვინმე გადამწყვეტ მომენტში გადაწყვეტს ღალატს შეაჩერებენ და დაასრულებენ მათ საცოდავ არსებობას! - გოგონა დადუმდა და ჩაფიქრდა. ალექსანდრე ოდნავ წინ წაიწია და ჩურჩულსაც მოეშვა და ისე განაცხადა

- ...და მაინც, თუ საცეკვაო მოედანზე გამოსვლას აპირებ, შენთვისვე აჯობებს გყავდეს ვინმე, ვისზეც იფიქრებ, ვინმე ისეთი ვინც.. გიყვარს. სხვა შემთხვევაში პირველი წლის მოკვდავი მოცეკვავეც კი შეძლებს იატაკი მოწმინდოს შენით და დაასრულოს შენი ისედაც სასრული ცხოვრება, არათუ ათას ორას წლოვანმა უკვდავმა, ამიტომ lütfen, "მგრძნობიარე მეს" ნაცვლად, "რაციონალური მეთი" იხელმძღვანელო - მეტი აღარაფერი უთქვამს კაცს უბრალოდ წინ გაიჭრა. ამომავალი მზის სხივებთან შესახვედრად. შეჩერდა. თვალები დახუჭა და განაახლა ღრმად სუნთქვა. მარცხენა ხელი სახეზე მიიდო. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდებოდა დღევანდელი ბრძოლა, ის მზის ჩასვლას ვერ მოესწრებოდა. ეს მისი უკანასკნელი დღე იყო. რა თქმა უნდა, ერჩივნა ახლა მის ფეხმძიმე მეუღლესთან ყოფილიყო, მაგრამ ერთადერთი იყო, ვისაც მილიონიანი უკვდავების არმიის წინამძღოლის, ვალტერის დამარცხება შეეძლო, რადგან თავად იყო ვალტერის შვილის, სალომე პრაიმის ერთადერთი ცოცხალი პირდაპირი სისხლითნათესავი. ნატა ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა კაცს

- იცი, მე ერთი შეცდომა დავუშვი, ერთადერთი..! და მას შემდგომ უბრალოდ კი არ შეწყვიტე ისე მომექცე, როგორც ოჯახის წევრს, არამედ ისე მექცეოდი, როგორც უცხოს... ცნობისთვის ეს უფრო მტკივნეული ასატანია, ვიდრე ისე მომექცე, როგორც მტერს!- კაცი არაფერს პასუხობდა - ნუთუ შენთვის ამდენად მარტივია.. ასე უბრალოდ უარი თქვა ჩემზე?!- უთხრა გოგონამ ბოლოს, მისი ერთადერთი ხელი წაიღო შესახებად და ზუსტად იმ მომენტში, როცა უკვე უნდა შეხებოდა კაცის მკლავს მხოლოდ შავ უჯრედებში გაეხვა და ჰაერში გაიფანტა.. მტვერ'ცალო.

მალევე, ლუკა მიუახლოვდა ალექსანდრეს და ოდნავ მომღიმარმა კითხა

- მაინც რაზე ფიქრობ?

- ვფიქრობ საკმარისი ხალხი არ გვყავს

- ამიტომაც მოვუხმე მათ - თქვა ლუკამ და შებრუნდა, ალექსანდრეც შებრუნდა და დაინახა მისი და'ძმა, ჯეკი და ანა'მარია... იქვე იდგა ანასტასიაც, რომელიც ხელს უქნევდა მომღიმარი და მათ უკან მათი მგელ'კაცების ხროვა. ლუკამ განაახლა საუბარი

- მე კი, ვფიქრობ ყველაფერი კარგად გვექნება... მეგობარო! - უეცრად თითქოს ცა გაიყო ორ სვეტად, გამოსტყორცნილმა ტალღამ ყველა საჭირო ინფორმაცია გაანდო მათ.

- მგონი დროულად მოვედით - წარმოსთქვა მიხაილმა

- იმედია არ გვიწყენთ დაუპატიჟებლად, რომ მოვედით - გამოეხმაურა გაბრიელი

- რა პრობლემაა ძმაო - უთხრა ლუკამ თავდაჯერებულად. ალექსანდრე ახლოს მიწია ლუკასთან და უნდა ეკითხა, როცა ლუკამ თავადვე ჩასჩურჩულა "პირველად ვხედავ ცხოვრებაში" შემდგომ ორივემ ახედეს გიგანტებს.

- ზეციურმა მამამ ნება დაგვრთო ჩამოვსულიყავით, რადგან თქვენს მოწინააღმდეგეს თავად ლუციფერი მოუძღვება

- Люцифер наш - წარმოსთქვა გაბრიელმა

- Вальтер..- ზიზღით გამოსცრა ალექსანდრემ - Он мой!

- Ну тогда остальные милион противников оставь мне - სარკასტულად ჩაიალაპარაკა ლუკამ და როცა გახედა ჰორიზონტს, ისინიც გამოჩნდნენ.

მთავარანგელოზები პირველები გაემართნენ "სტუმართა დასახვედრად" ზომაში რამდენჯერმე დიდები იყვნენ ადამიანზე და რამდენიმე მეტრის ზემოთ მიაბიჯებდნენ მიწიდან.

ალექსანდრე ვალტერს ეძებდა, მაგრამ არსად ჩანდა, ამიტომ მთავარანგელოზების დახმარება გადაწყვიტა, გაიქცა და მთელი ძალით აიჭრა ჰაერში.. ლუციფერი მას მოუბრუნდა - Ничтожное существо! Знай своё проклятое место. - წარმოსთქვა რა ლუციფერმა, ფეხი, რომელიც კაცის მთელი სიმაღლის ჰქონდა ჰაერშივე შეახვედრა მას. ეს მოცდენა ძვირად დაუჯდა ლუციფერს. გაბრიელი უკნიდან დაესხა თავს, მკლავში მოიქცია მისი კისერი

- Ты выбрал не ту планету - უთხრა მიხაილმა და ხელის სწრაფი მოძრაობით მკერდიდან გული ამოგლიჯა...

როცა ალექსანდრე ჰაერში აიჭრა, ვალტერმა დაინახა იგი და მისკენ გამოემართა, როცა ალექსანდრე გაყინულ მიწაზე დაეცა მიუახლოვდა ჯერაც დაცემულს

- Люди… не заслуживают жизни

- Они заслуживают права выбора

- Ну тогда ты умрёшь вместе с ними - გამოსცრა ვალტერმა და მახვილ მომარჯვებული კიდევ უფრო მიუხლოვდა ალექსანდრეს, როცა ზურგზე ჯეკი, ალექსანდრეს ძმა, შემოახტა

- თუ ოდესმე ჩემს ძმას ვინმე მოკლავს.. ეს ვიქნები მე! - ვალტერმა მარცხენა იდაყვი მოხარა ჯერ მკერდში შემდგომ სახეში უთავაზა და ჯეკი მოწყვეტით დაეცა მიწაზე. ალექსანდრემ მთელი ძალები მოიკრიბა და წამოდგა, თუმცა ვალტერმა მისი მახვილი მოიქნია და მუცელზე გადაჭრა იგი.

- Проклятое тварь..! Ты за это заплатишь! - მოესმა ხმა ვალტერს და მიბრუნა, ორ მახვილ მომარჯვებული ანასტასია მოდიოდა მისკენ. თავდაჯერებული იმით, რომ ალექსანდრე უკვე დაამარცხა, უბრალოდ დაელოდა ქალს. უფლებაც კი მისცა პირველს დაერტყა, მახვილი და ფარი მოიმარჯვა და მარჯვედ მოიგერია ქალის დარტყმა. ანასტასია მეორე მხრიდან დაესხა თავს, შემდგომ სხვა მხრიდან, შემდგომ ისევ სხვა მხრიდან თითქოს ვალტერის ირგვლივ მოძრაობდა და სუსტ წერტილს ეძებდა თავდასასხმელად. ვალტერი გაოგნდა, ქალი მისთვის ზედმეტად

სწრაფი იყო და უეცრად იგრძნო თუ როგორ შეიჭრნენ მის მკერდში და გულს მოხვიეს ხელი, ანასტასია მომღიმარი მისჩერებოდა.

- Ты быстрая но я сильнее - თქვა თავმომწონედ და თავისი მახვილით ხელი მოჰკვეთა ქალს. შემდგომ მეორე ხელიდან ფარი გააგდო, კისერში წაუჭირა მას და მაღლა ასწია

- Это было смело но глупо - წარმსოთქვა კაცმა მარცხენა ხელში მომარჯვებული მახვილით ქვედა კიდურები მოკვეთა ქალს და მიწაზე დასცა. შემდგომ ფარიც აიღო ხელში და თვალი თვალში გაუყარა ქალს - смело но глупо - წარმოსთქვა კაცმა კიდევ ერთხელ და პატივისცემის ნიშნად აღარ დაასრულა მისი სიცოცხლე. ქალი ერთადერთი იყო, ვინც შეძლო თითქმის დაემარცხებინა იგი. კაცი წელში გასწორდა, უკან შებრუნდა და ნელი თანაბარი ნაბიჯებით განაგრძო სვლა თითქოს უკვე გაიმარჯვა.

- ხედავ? ჩემს გარეშე სუნთქვაც კი არ შეგიძლია - წარმოსთქვა ნატამ, როცა ალექსანდრეს სხეულს მიუახლოვდა მისკენ დაიხარა, დამჭკნარი ყვავილი ყურში ჩაუდო მისი ტუჩები ერთმანეთს დააცილა და სული შეუბერა. როცა ყვავილმა აყვავება დაიწყო გაეღიმა და წამოდგა. ალექსანდრეს ორად გაჭრილ სხეული მხოლოდ მოშავო უჯრედებში გაეხვა, გაერთიანდა და წამოდგა . უჯრედები ჰაერში გაიფანტნენ და დარჩა მხოლოდ ალექსანდრე.. მკვდრეთით აღსდგენილი.

ამის დანახვაზე ანასტასია ეცადა მისკენ მიახლოვებას. ნატა მაშინათვე გაჩნდა ქალთან, დასახამარებლად.

- Не верю своим глазам.. Он живой - ამბობდა ანასტასია და თან მიიწევდა მისკენ. მოკვეთილი ქვედა კიდურებით მხოლოდ ხოხვა შეეძლო. Осознав своё истинное предназначение .. მიზეზი თუ რატომაც შეარჩინა ალექსანდრემ უკვდავების ორი დინასტიის მოსპობა და დასრულება მაშინ როცა ერთი უკვდავის მკვლელობისვისაც კი თავს წააცლიდა ნებისმიერს Она приняла [едизначна верное] решение.

- თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე არ მახსენდება ერთი ღირსეული საქციელიც კი.. Возьми всё что нужно- უთხრა ანასტასიამ ნატას და თვალებში მიაცქერდა, გოგონას რომელსაც მისი მარცხენა ხელი ეკავა, შემდგომ თავისი გრძელი თითები მკერდში, გულში გაიყარა, საკუთარ გულს მოხვია თითები, მუჭში მოიქცია და მთელი ძალით ამოიგლიჯა... გოგონა მაშინათვე აიესვეტა ალექსანდრეს

- ცნობისთვის, დახმარების მიღება შერიგებას არ ნიშნავს - უთხრა ალექსანდრემ და თვალებში უყურებდა გოგონას. - Evet... А теперь повтори за мной .. Jaryakat a zem. Daryeet acza - ანასტასია ლაპშინას შესაძლებლობები ალექსანდრეს სრულად გადაულოცა. ნატას ნიკაპზე ჯერ ორი შავი წერტილი გაუჩნდა შემდგომ კი მათ დაიწყეს ერთმანეთისკენ სვლა და შეერთდნენ. ნატა ამას ელოდა ამიტომაც მარტივად გაუძლო ტკივილს. ხელი მოუსვა მის ახალ "ნახატს" ნიკაპზე. შავი ჯადოქრობის გამოყენების საფასური, რაც ფერიებისთვის "აკრძალული ხილი" იყო. როცა კაცმა თვალები გაახილა თითქოს ხელახლა დაიბადა. ანასტასიას უზომოდ დიდი ნეგატიური ენერგია შეერწყა რა მის ასევე უზომოდ დიდ დადებით ენერგიას, შედეგად გაცილებით სწრაფი და ძლიერი გახდა.. თითქოს ელვა დაურბოდა თვალებში. გოგონამ მკლავი აიკაპიწა და კაცს გაუწოდა იმისთვის, რომ გამოეკვება. ალექსანდრემ მაშინათვე კბილები ჩაასო და მალევე დასცილდა მას.

- ვფიქრობ საკმარისია - თქვა კაცმა და ოდნავ შებარბაცდა

- არა, მეტი გჭირდება, შეგიძლია მთლიანად წაიღო! - უპასუხა გოგონამ დაინახა რა დაუძლურებული კაცი

- ასე ხომ მოკვდები?

- სულერთია, რადგან თუ ვერ გაიმარჯვებ, მაინც ყველას მოგვეღება ბოლო!

- არა - უთხრა კაცმა

- უკვე კარგად ვარ, გმადლობ დახმარებისთვის, თანაც როცა გავიმარჯვებ, იცი, რაღაც მოხდება, რაც ბეჭებზე დასცემს ჩვენს ხალხს, ამ დროს კი მათ დაჭირდებათ ვინმე, ვინც წამოაყენებს და წინ გაუძღვება.. კაპიტანო! - წარმოსთქვა კაცმა და ორივე ხელით ბეჭზე შეეხო გოგონას. ნატას გაეღიმა, ბოლო ათი წელია, იმ დაწყევლილი ამბის შემდგომ,

ალექსანდრეს არ მოუმართავს მისთვის, მისივე დარქმეული სახელით. რომელიც ჯერაც მაშინ შეარქვა, როცა პირველად დაინახა გემზე უმოწყალოდ ნაცემი და მომაკვდავად მიგდებული. " მე შენ დაგარქმევ, კაპიტანს...! " მოაგონდა ნატას კაცის ერთ'ერთი პირველი სიტყვები და გააჟრიალა.

- კარგად ხარ? - კითხა ალექსანდრემ

- კარგად ვიქნები - უპასუხა ნატამ - ახლა კი შენის ნებართვით - თქვა და ჰაერში პატარა მტვრის ნაწილაკებად გაიფანტა. მოშორებით ოთხ მეწყვილეს ერთად გამოეცეკვა და როცა სამი მათგანი მიწაზე, ყინულის ფენაზე, გააწვია მეოთხეს ხელი მოხვია სახეზე და ახლოს მიიზიდა, ალბათ ნებისმიერი სხვა იფიქრებდა რომ აი, ახლა აკოცებსო, თუმცა, როცა საკმარისად ახლოს მოიზიდა მეწყვილე, გოგონამ პირი გააღო, ამოაცალა და დაისაკუთრა მისი მაცოცხლებელი ენერგია. მისი მეწყვილე კი წამიერად დაიფერფლა.

ალექსანდრეს მთავარანგელოზები მოუახლოვდნენ

- გილოცავ, ტყუპები შეგეძინა - უთხრა მიხაილმა, კაცს გაეღიმა, მაგრამ მალევე თითქოს სევდა შემოაწვა

- დამშვიდდი, დედაც კარგად არის - უპასუხა არ დასმულ კითხვაზე და შემდგომ დაამატა - მგონი დროა, შენი ჭეშმარიტი მეწყვილე გამოიცეკვო

- ფიქრობ შანსი მაინც მაქვს.. - ვეღარ დაასრულა სათქმელი ალექსანდრემ, რადგან მიხაილი ჩაეჭრა

- შანსი? ჩვენ საკუთარი უკვდავება გავრისკეთ აქ ჩამოსასვლელად, შ ე ნ ს დასახმარებლად და შენ კიდევ შანსებზე საუბრობ? - გაღიზიანებით წარმოსთქვა მიხაილმა

- ამით იმის თქმა სურდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოგიწევს ამის გაკეთება.. გეტყოდი იმედი მაქვს ვეღარ შევხვდებით მეთქი, მაგრამ ჩვენი ნახვა არ აგცდება, თუმცა, იმედი მაქვს, ეს დღეს არ მოხდება - დაასრულა რა სათქმელი გაბრიელმა, მისი და მიხაილის სხეული ნათელი მოყვითალო უჯრედებად გაიფანტა ჰაერში.

ამასობაში ალექსანდრეს გვერდით ამოუდგნენ დები ცეკვავები. მარჯვნიდან მარია'მო დედოფალი, მარცხნიდან კი მისი უდიდებულოსება ვერონიკა -Я бы сказало сейчас или может быть потом, но... - აღარ დაასრულა სათქმელი მარია'მომ - Второго раза, второго шанса не будет - გააგრძელა ვერონიკამ - Либо сейчас либо нас проста отправляют к чертям - დაასრულა სათქმელი ვერონიკამ. მარი'მო მიუახლოვდა კაცს და მისივე საყვარელი ხანჯალი მიუმაგრა წელზე და შემდგომ თვალებში ჩახედა - Никогда не знаешь когда пригодится - უთხრა და გულთბილად გაუღიმა.

- Мы зачистим тебе дорогу - უთხრა ალექსანდრეს, შემდგომ კი თავის დას მიუბრუნდა

 - Ну что скажешь сестрёнка... готова ?- უთხრა ვერონიკჯამ და მისი დისკენ გაწია ხელი მოსაპატიჟებლად - Я родилась готовой... танцевать! - უპასუხა მარია'მომ. დებმა ჩაკიდეს ხელი ერთმანეთს და ერთიან არსებად შეიქმნენ, ორი ფეხით, თუმცა ოთხი ხელითა და ორი თავით წრებრუნვით და წინსვლით გაიჭრნენ საცეკვაო მოედანზე. ამასობაში ალექსანდრე, ლუკას მოუბრუნდა უკან - ლუკა! - შესძახა კაცმა და როცა ლუკას მზერა დაიჭირა უთხრა - დროა..!- შემდგომ თვალებით ეძებდა მის ჭეშმარიტ მეწყვილეს. ლუკამ მის დას დაუძახა, მარის და იგივე გაიმეორა - დროა..! - ქალი მიუახლოვდა თავის ძმას. ორივემ მახვილები მიწაში ჩაარჭო და ხელები ერთმანეთს ჩაკიდეს. - მზად ხარ? - კითხა ლუკამ - მზად ვარ - უპასუხა მარიმ - მაშინ.. - დაიწყო ლუკამ საუბარი "დროის პოლიციის დროა" წარმოთქვა ორივემ ერთად. არსაიდან გაჩენილმა ტალღამ მოიცვა საცეკვაო მოედანი. ლუკას შეეძლო გამოესტყორცნა ტალღა, რომელიც დროს შეანელებდა, ყველა ვისაც მისი ტალღა შეეხებოდა თითქოს ადგილზევე გაიყინებოდა. მისი ღვიძლ დას, მარის შეეძლო გაძღოლოდა მისი ძმის ტალღას და თავად გადაეწყვიტა ვინ გაეყინა ადგილზე და ვინ არა. როცა და'ძმა ლომთა'ძეებმა დაიწყეს რიტუალი, მათ უკან მდგარი ტყუპი ლომების არმია ერთმანეთში განსხეულდა როგორც მარია'მო და ვერონიკა და მათ მსგავსად წრებრუნვითა და წინ სვლით შემოიჭრნენ საცეკვაო მოედანზე.

დები ცეკვავები იმდენად თავდაჯერებულები გახდნენ, რომ რამდენიმე მეწყვილე ერთდროულად გამოიცეკვეს და ერთი ხელის მოსმით გააწვინეს

გაყინულ მიწაზე და როცა ვალტერი შენიშნეს, მისკენ გაემართნენ და თავიანთი ხანჯლებითა და მახვილებით დაესხნენ თავს. ვალტერმა სამი დარტყმა მოიგერია თავისი ფარით, შემდგომ ფარი იმდენად ძლიერ მიარტყა, რომ გოგონები ყინულის ცივ ფენაზე თავ-თავიანთ სხეულში განსხეულებულები დაცვივდნენ. ვალტერმა ფარი ზურგზე შემოიგდო, მახვილი მოიმარჯვა და უკვე უნდა მოექნია იგი, თავები წაეცალა მათთვის და დაესრულებინა მათი გვარი და დინასტია, როცა ზურგიდან ძლიერი დარტყა მიიღო, არ დაეცა, უბრალოდ გვერდით გახტა, წამით შეშინდა, შემდგომ კი ბრაზი მოეკიდა და მის მორიგ მეწყვილეს, ნატას, გაუსწორა მზერა. გოგონა ფერიად გარდაისახა, ჰაერში აიჭრა, მეწამულმა უჯრედებმა ერთიანად დაუფარა მთელი სხეული. ნატამ ხელები წინ გამოსწია "Огонь Дракона" წარმოსთქვა მან და ცეცხლის წრე მოხაზა ვალტერის ირგვლივ. შემდგომ მთელი თავისი თავდაჯერებულობით მიუახლოვდა მას, დარწმუნებული იმაში, რომ კაცო ვერაფრის დიდებით ვერ გადმოკვეთავდა წრეს. ამ ფიქრებმა გაახარა და გამარჯვებულის ღიმილით მიუახლოვდა თავისივე შექმნილ წრეს. უეცრად მისი სახელი მოესმა და გვერდით გაიხედა, ალექსანდრე ეძახდა, "ნუთუ იმაზე ბრაზობს, რომ მისი მეწყვილე თავად გამოიცეკვა?! რომ თავად მოიპოვა სახელოვანი გამარჯვება?! - თუმცა როცა ალექსანდრეს მზერას დააკვირდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, ეს არათუ ბრაზი, არამედ შიში გახლდათ, შიში, მოსალოდნელი უბედურებისა და ზუსტად იმ დროს, როცა ვალტერს გახედა იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი კარგად იყო, კაცის ხელი შეიგრძნო კისერში და მისი სიტყვები - Недооценила меня, да..?- თქვა ვალტერმა, შემდგომ ხმალი ხელიდან გააგდო, მეორე ხელითაც კისერზე მოხვია ხელი, მეტად ახლოს მიიზიდა და უთხრა - Принцесса..! ты моя собственность..! - ამასობაში კი ალექსანდრე მკაცრი ხმა გაისმა - Вальтер, она ни чья собственность, оказывается даже не моя! - ვალტერმა ალექსანდრესკენ მიიხედა და გაოცდა, როცა ცოცხალი დაინახა, არადა წეღან არ მოუღო ბოლო მის საცოდავ არსებოსას?! ნატა მაშინვე მოისროლა შორს, ძირს დაიხარა მახვილი აიღო და მისი მიმართულებით გაიშვირა - Прайм.. Ты.. Мой.. ! - უთხრა და მისკენ გაიქცა , ალექსანდრემ გადაწყვიტა დიდხანს არ გაეგრძელებინა ეს [წყეული] ცეკვა.

- Ты сражаешься за слабых и потому проиграешь - გამოელაპარაკა ვალტერი

- Ты просто робот, чёртов робот - უთხრა ალექსანდრემ, როცა ხან ერთ, ხან კი მეორე მხრიდან ესხმოდა თავს ვალტერს. ახლა კი, როცა თავად ვალტერის ჯერი დადგა გადმოსულიყო შეტევაზე, გადაწყვიტა იმ ილეთის გამოყენება, რომელიც მარია'მოსგან ისწავლა, იმდენად ახლოს მიუახლოვდა კაცს, რომ თითქმის სხეულზე მიეტმასნა, ვალტერი, ოდნავ შეცბა, როცა მიხვდა , რომ მისი მეწყვილე იმაზე სწრაფი იყო ვიდრე წინა ცეკვის დროს. შესაძლებლობა ნახა და გამოიყენა კიდეც, გადმოიხარა რა მარცხნივ, რომ ალექსანდრეს მარჯვენა ხელი, მხარი, დაებლოკა, რომელშიც მახვილი ეჭირა, თუმცა იმდენად დაუცველი მკლავი დაუნახა, რომ ცდუნებას ვერ გაუძლო, წელში მეტად მოიხარა და თავისი მახვილით მთლიანი მკლავი მოკვეთა მას. ალექსანდრეს გაეღიმა, როცა მისმა სტრატეგიამ გაამართლა, როგორც მარია'მო მოიხსენიებდა "ლაზიერის გაწირვად", რადგანაც დომინანტი მკლავი დაკარგა, თუმცა მარცხენა ხელით დაწვდა მარია'მოსავე ნაჩუქარ ხანჯალს - Покажи свое лицо - უთხრა ალექსანდრემ, ვალტერს, რომელიც ზედმეტად გადახრილი იყო მარჯვნივ და მარცხნიდან დაესხა თავს.. მომარჯვებული ხანჯალი ნიკაპს ქვემოთ, კისერთან გაუყარა, წამიერად ხელი აუშვა შემდგომ უფრო მარჯვედ დაიჭირა, ხანჯალი ზემოთ დაძრა და სახე ააცალა, ორ ნაწილად გაუყო ვალტერს - Кусок железа - წარმოსთქვა ალექსანდრემ, როცა ანასტასიას დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა, მარცხენა ხელი მკერდში, გულში გაუყარა, მუჭში მოიქცია მისი გული და სხეულიდან ამოაცალა...

უძველესი წიგნების თანახმად, უკვდავებს ერთადერთი "აკრძალული ხილი" ჰქონდათ, საკუთარი შემქმნელის მკვლელობა, ალექსანდრეს კი ამ 1200 წლიანი [წყეული] ჯალათის პირდაპირი სისხლით შთამომავალი გახლდათ.. დედის მხრიდან. ამ დროს არ არსებობდა მკვლელი და მსხვერპლი, რადგან , რა წამს "სისხლი მოკლავდა სისხლს " ორივე მათგანი ერთდროულად და მაშინათვე წყვეტდა არსებობას.

-NOOO წამოიყვირა მარია'მომ - როცა ალექსანდრეს სხეული მოწყვეტით დაეცა მიწაზე. თავის თავში ძალა იპოვა, წამოდგა და მივარდა გარდაცვლილი გენერლის სხეულს. ვერონიკაც წამოდგა და ნელი თანაბარი ნაბიჯებით მიუახლოვდა მათ.

- we finaly lost him, sister!

- we have prepared for this. We knew, this day would come,

- yes, but IT does not make THIS any less panful, does IT?

წარმოსთქვა მარია'მომ. კაცის თავი ხელებში მოიქცია და ბრაზიანი სახით გახედა თავის დას!

ნატა წამოდგა, წელში გასწორდა და მიუახლოვდა მათ. ისევე როგორც ლუკა მისი და, მარი და ჯეკი, ალექსანდრეს ძმა. უყურებდა რა მათ უკვირდა. განა წეღან დაამარცხეს 1200 წლის უკვდავი ჯალათი და მისი მილიონიანი არმია?! თუმცა გამარჯვებულად თავს არც ერთი მათგანი არ გრძნობდა. შემდგომ დაფიქრდა საკუთარ თავზე, თვითონ რას გრძნობდა და ზუსტად მაშინ გადმოვარდა პირველი ცრემლები თვალებიდან. უყურებდა რა მისი პირადი მენტორისა და ნათლიის სხეულს ყინულის საფარზე. ნატამ თავისი მაგიური თითები აამოძრავა, რომ თვალებიდან ცრემლები შექმნისთანავე მოეცილებინა. მარია'მოს გახედა, რომელიც არ ჩერდებოდა. პანიკაში იყო, უცებ გაჩერდა, ლუკას მიუახლოვდა და საუბარი გაუბა

- შენ ხომ დროის შენელება შეგიძლია, არა? იქნებ დროის უკან დაბრუნებაც შეძლო - ლუკამ არაფერი არ უპასუხა, უბრალოდ თავი ჯერ გააქნია, შემდგომ კი დახარა - მარია'მო უარს ჩვეული არ გახლდათ წამიერად შემოიკრიბა მოწითალო'მოშავო უჯრედები და მისი ლურჯი [მშვიდობის] ერთიანი სრული კაბა უეცრად შეიცვალა მეწამული [ჯალათის] ერთიანი სრული კაბით. ლუკასკენ გადაიხარა და ენა გადმოყო, ტრადიციულად იმის გამაფრთხილებლად, რომ მალე თავს დაესხმებოდა . ლუკამ მოიგერია მისი ჯერ ერთი, შემდგომ მეორე მახვილის მოქნევა, შემდგომ გვერდზე გახდა და თავისი ხმალი დააგდო

- შენთან ბრძოლას არ ვაპირებ მარია'მო, შეგიძლია მომკლა, მაგრამ ამით მას ვერ გააცოცხლებ - მარია'მო გაჩერდა, შემდგომ ნატას მიუახლოვდა

ნატას მოაგონდა ალექსანდრეს ბოლო სიტყვები "... როცა გავიმარჯვებ, იცი, რაღაც მოხდება, რაც ბეჭებზე დასცემს ჩვენს ხალხს, ამ დროს კი მათ დაჭირდებათ ვინმე, ვინც წამოაყენებს და წინ გაუძღვება.. კაპიტანო!" და გაეღიმა. როგორც ჩანს წყეულმა ბრიტანელმა ნაბიჭვარმა ყველაფერი წინასწარ გათვალა! მხოლოდ ამის შემდგომ შეამჩნია თუ როგორ მოუახლოვდა გაცეცხლებული მარია'მო

- რამე სასაცილო ხდება.. კაპიტანო?! - გამოცრა ხელში მახვილ მომარჯვებულმა. მარია'მო ერთიანად ბრაზში იყო მოცული და აშკარად მის გამოცეკვებას აპირებდა. მახვილი მოიმარჯვა და ერთი ნაბიჯი გადადგა უკან. ახლა მასთან ცეკვა ყველაზე ნაკლებად სურდა, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა, თუმცა უეცრად მარია'მომ საუბარი განაახლა და გულზე მოეშვა.

- როგორ შეგიძლია ასე უემოციოდ იყო, არაფერი თქვა, არაფერი გააკეთო, როგორ შეგიძლია იყო ასეთი უგრძნობი?- ნატამ თავიდან არაფერი უპასუხა თვალებში შეხედა ქალს. უნდოდა მივარდნილიყო, თავისი ხელები მოექცია მის ხელებში და ეთქვა "რა გინდა რა-ა? რას მთხოვ? როგორ გინდა ვაჯობო 1200 წლის წინ დაწერილ შელოცვას და ვიპოვო შეცდომა? მე ხომ ჯერაც 33 წლის ვარ, არა?! არც ცოდნა მაქ საკმარისი არც გამოცდილება და არც ჯადოსნობის პრაქტიკა" უნდოდა მოხვეოდა ქალს და მთელი გულით ატირებოდა, მაგრამ ისევ ალექსანდრეს წარმოთქმული ბოლო სიტყვები გაახსენდა, ძლიერი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც გაჩერდა, ცივი მზერა დაიჭირა და ისე დაიწყო საუბარი

- მე არც ცოდნა მაქვს და არც საკმარისი პრაქტიკა ვაჯობო 1200 წლის წინ შექმნილ შელოცვას, მაპატიე, მაგრამ უნდა ვიპოვოთ ძალა ჩვენს თავში გავაგრძელოთ ცხოვრება, მის გარეშე..!

- არა, არა, ა რ ა! არა ვახსენე უკვე? უარს ვამბობ! ღვთის გულისათვის.. - დაიწყო საუბარი მარია'მომ ირგვლივ იყურებდა ყველას თვალს უსწორებდა იქნებ რომელიმეში მაინც ეპოვა თანაგრძნობა

- ნუთუ თავად მთავარანგელოზები იმისთვის ჩამოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად, რომ ის თავისთან წაეყვანათ?! არ ვაპირებ დანებებას! გამოსავალს აუცილებლად ვიპოვი! თუნდაც ამისთვის მთელი ჩემი უსასრულო ცხოვრება დამჭირდეს.. ილოცეთ, რომ ეს არ მოხდეს, თორემ

ყოველ თქვენგანს - თქვა მარია'მომ და სათითაოდ ყველასკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი - მოგაკითხავთ და წირვას გამოგიყვანთ, უმოწყალოდ და უემოციოდ, ზუსტად ისე როგორც ახლა თქვენ დგახართ აქ! ჩემი ვინაობა ხომ არ შეგახსენოთ? მე გახლავარ კავკასიის დასავლეთ მიწების მმართველი, მარია'მო დედოფალი, ასევე ცნობილი როგორც ექო - წითური სამეფო ჯალათი .. მას ყველაფერი ჰქონდა გესმით? შვილები და ოჯახი, შეეძლო ხელი ჩაეკიდა მათთვის და გადამალულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ ყველანი დაგვაყენა მის ინტერესებზე მაღლა.. ქალი ისევ პანიკაში იყო, ნატა უყურებდა რა მას შველა უნდოდა, მაგრამ იცოდა ვერ დაეხმარებოდა, ჯეკმა, ალექსანდრეს ძმამ ნელი თანაბარი ნაბიჯებით დაიწყო სვლა მარია'მოსკენ ჯერ ვერონიკას გახედა, ქალმაც თავი დაუკრა, ახლა როცა ნებართვაც ჰქონდა აესვეტა მარია'მოს მისი ლოყები ხელებში მოიქცია და ახლოს მოიზიდა "ты моя собственность..!" წარმოსთქვა რა შთაგონების დაწყების გამხსნელი ფრაზა მარია'მო მიხვდა, რომ მხოლოდ რამდენიმე ათეული წამი ჰქონდა სანამ მის გონებაში შემოიჭრებოდნენ და გონებას გაუსუფთავებდნენ "არასაჭირო და ზედმეტი" მოგონებებისაგან თუ შეგრძნებებისგან, ამიტომაც გადაწყვიტა გამოეთავისუფლებინა Само зло , რომელიც მასში იყო ჯერაც. ჯეკს თვალები გაუფართოვდა, როცა მარია'მოს მოწითალო'მოყავისფრო თვალები გამწვანდა და წითური თმები გაქერავდა "Это ты моя собственность..! " განუცხადა მარია'მოში განსხეულებულმა სალომე პრაიმმა, უცებ მოიშორა კაცის ხელები და მარცხენა ხელი თავად წაუჭირა კისერში და დააჩოქა, შემდგომ წამოაყენა ახლოს მიიზიდა თავისი კბილები ჩაასო კისერში და მისი სისხლით გამოიკვება. ახლა უკვე თავისი თვალებით ხედავდა და ისმენდა იმ ყველაფერს, რაც კაცს ენახა ან მოესმინა ბოლოკვირეებში, როცა საკმარისი ინფორმაცია მიიღო ორივე ხელით ჩამოიცილა კაცი და მიწაზე დააგდო. იცოდა რა ლუკა აუცილებლად თავს დაესხმებოდა, თავად მივარდა მარჯვენა ხელი წაუჭირა კისერში და ყინულის ზედაპირზე დაანარცხა მთელი სხეულით, ასევე იცოდა ის, რომ ლუკას და მარი უმალ მოკვდებოდა, ვიდრე ვინმეს შეარჩენდა მის ძმაზე თავდასხმას, ამიტომაც ქალმა საჩვენებელი თითი გაიშვირა მისკენ და მთელი ხმით უყვირა "Стой где стоишь" რა თქმა უნდა, მარის ეს არ შეაჩერებდა რომ არა ნატას ხელი, რომელიც ჩაკიდა მის ხელს. სალომ ლუკას შეხედა, როცა დაწყნარებული დაინახა ხელი გაუშვა ნელ ნელა წამოდგა და საუბარი დაიწყო - სანამ რომელიმე თქვენგანი ჩემს გამოცეკვებას დააპირებთ, შეგახსენებთ, რომ

რამდენიმე კვირის წინ მთელი და ერთიანი ძალებით შემებრძოლეთ და თუ სწორად მახსოვს, იატაკი მოვწმინდე თქვენით! და ფიქრობ, რომ ერთი პატარა გოგონა შეძლებ ჩემს დამარცხებას?! - საუბარში მარი ჩაეჭრა - მირჩევნია მოვკვდე! - თქვა მარიმ და წინ გაიწია თუმცა, ნატამ ძლიერად მოკიდა ხელი და შეაჩერა

- მაპატიე, მაგრამ შენ არ და ვერ ხარ ჩემი შესაფერისი მეწყვილე, არცერთი თქვენგანი არ არის! - თქვა სალომ და ერთი ხელის მოსმით მონიშნა ყველა, ბოლოს კი მისი ერთადერთი და უკანასკნელი პირდაპირ სისხლით შთამომავლის სხეულს შეხედა და ოდნავი პაუზის შემდგომ გააგრძელა - იმედი მაქვს არ ფიქრობთ რომ წოდება დედა'დედოფალი მხოლოდ წარმოუდგენლად ლამაზი თვალების გამო მხვდა წილად, თანაც ჩემი შესაძლებლობები საკმაოდ კარგად წარმოვაჩინე ამ რამდენიმე კვირის წინ.. -

- დიახ, თქვენო საოცრებავ.. - წარმოთქვა ნატამ ჯერ ერთი შემდგომ კი მეორე ნაბიჯი გადადგა ქალისკენ და გაჩერდა - შედეგად გამოგკეტეთ მარია'მოს სხეულში და მას რომ არ გამოეთავისუფლებინეთ, დარჩებოდით ბნელ ოთახში გამოკეტილი, სამარადისოდ!

- თავდასხმა საჭირო არ არის, ახლა როცა ყველამ იპოვეთ თქვენი ადგილი კვებით ჯაჭვში, თქვენის ნებართვით დაგეხმარებით - თქვა სალომ და პასუხს დაელოდა - სალო, გთხოვ - წამოიწყო საუბარი ვერონიკამ - ბოლო ძალებიც კი გამომელია, შეიძლება ეს დაწყევლილი ცეკვა ხვალისთვის გადავდოთ? - სთხოვა ქალმა მშვიდი ტონით, შემდგომ საუბარი ალექსანდრეს დამ, ანა'მარიამ გააგრძელა ისე რომ სალოს სიტყვაც არ ათქმევინა

- წარმოუდგენელია, 1200 წლის ჯალათების არმია იმისთვის დავამარცხეთ, რომ კიდევ ერთ'ერთ მათგანთან გვქონოდა ჯახი?

- როგორც უკვე ვთქვი მე აქ დასახმარებლად ვარ!

- მართლა? მკვდრეთით აღსდგომის დღიდან ერთადერთი, რასაც აკეთებდი თავდასხმა იყო ყველა სა და ყველაფერზე .. თუ ფიქრობ, რომ შენს ერთ სიტყვას მაინც დაიჯერებს აქ რომელიმე ჩვენგანი მაშინ არასწორი წარმოდგენა გქონია ჩვენზე - ჩაეჭრა ანა'მარია

- როგორც უკვე ვთქვი აქ დასახმარებლად ვარ, არ ველოდები რომ გამიგებთ თქვენ ხომ არასდროს არ ყოფილხართ 1200 წლის ჯალათი, ასე არ არის?

- მაინც რა დახმარებაზეა საუბარი? რამდენადაც მე ვხვდები ჩვენ გავიმარჯვეთ ახლა კი ერთადერთი მოწინააღმდეგე შენ დარჩი!

- დიახ, გაიმარჯვეთ, მაგრამ რატომღაც გამარჯვებულის ბედნიერებას ვერ გატყობთ, ვერცერთს..! ახლა კი თქვენის ნებართვით საქმე მაქვს შვილობილი(პირდაპირი სისხლით შთამომავალი) უნდა გავაღვიძო

- წარმოუდგენელია.. - ვერ იჯერებდა ანა'მარია - მთელი იმ უბედურებების შემდგომ, რაც გამოატარე ახლა მისი დახმარება გინდა?

- ვშიშობ, ამასაც ვერ გაიგებ, შენ ხომ არც დედა არ ყოფილხარ არასოდეს - თქვა სალომ და მიმოიხედა, მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ წრეში იმყოფებოდა, ფაქტობრივად ალყაში იყო მოქცეული, თუმცა ვერც ერთის მზერაში ვერ კითხულობდა თავდასხმის სურვილს, მათი ემოციები თანაგრძნობით შემოიფარგლებოდა მხოლოდ..

- ნატა ძვირფასო, თუ შეიძლება- წარმოსთქვა სალომ და ხელი გაიწვდინა ნატასკენ, როცა დარწმუნდა, რომ ყველა უსმენდა და აინტერესებდა მოვლენების განვითარება, გააგრძელა საუბარი

- მარიო'მო ძალიან ძლიერია, მაგრამ ამ დონის შელოცვამ, რომ იმოქმედოს რაღაც მეტად ძლიერი და ჯადოსნურია საჭირო - დაასრულა სალომ სათქმელი და მთელი სხეულით მისკენ მომავალ ნატას მიუბრუნდა. გოგონამ კაშნე შეიხსნა, იცოდა, რომ სალოს ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ მოცემულ მომენტში სხვა არჩევანი არ ჰქონდა, რადგან ასევე იცოდა, რომ მომავალში აუცილებლად ცოცხლად შეჭამდა ფრაზა "რამოხდებოდა, რომ.." თავად ნატა ძლიერი გახლდათ, შესაბამისად მასში ვერავინ ჩასახლდებოდა თუ თავადვე არ მისცემდა ამის უფლებას. უცებ შეჩერდა, უკან მობრუნდა თვალებით ლომკაცას ეძებდა და როცა დაინახა გაუღიმა. თვალს არ აცილებდა. თუ ეს სალოს მახე იყო ალბათ უკანასკნელად ხედავდა მას და ამიტომ გადაწყვიტა ეს მომენტი გონებაში მკაფიოდ ჩაებეჭდა. შემდგომ მიბრუნდა და სალოს მიუახლოვდა. ქალმა ხელები მოხვია, კისერი გადაუწია, კბილები ჩაასო გოგონას და როცა

ჩათვალა რომ საკმარისი სისხლი ამოიღო მისი სხეულიდან, ოდნავ დაცილდა

- კარგად ხარ? - კითხა სალომ

- კარგად ვიქნები - უთხრა ნატამ, მისი ერთადერთი მარცხენა ხელი შეახო ქალს ფერდზე და დაიწყო საჭირო სიტყვების წარმოთქმა. მარია'მოს სხეული მოწითალო'მოშავე უჯრედებში გაეხვა, ხოლო ნატასი მხოლოდ მეწამული უჯრედებით შეიმოსა.. მოწითალო'მოშავო უჯრედებიდან მარიამ'ო გამოჩნდა, როგორც ჩანს შელოცვამ გაამართლა და ქალს უკან დაუბრუნდა თავის სხეული, მეწამული უჯრედებიდან კი ნატა გამოვიდა, გამწვანებული თვალებითა და გაქერავებული თმით. მაგრამ ყველაზე შესამჩნევი მაინც სხვა რამ იყო, მისი მარჯვენა ხელი, მას ისევ ჰქონდა მარჯვენა ხელი! აღარაფერი თქვა ნატში განსხეულებულმა სალომ, უბრალოდ მიწაზე დაცემული სხეულისკენ წავიდა.

- სალომე.. წყეული სალომე პრაიმი.. - წარმოსთქვა მარია'მომ, როცა საკუთარი სხეული დაიბრუნა

- როცა ჩემში იყო განსხეულებული ჩემს გონებაში და წარსულში იყურებოდა, მე კი მისაში.. ახლა გასაგებია რატომ გვესხმოდა თავს, რატომ ითხოვდა ყოველთვის რაღაცას ისე თითქოს ეკუთვნოდა - ყურადღება მიიქცია რა თავისი მონოლოგით, თითქოს ყველას დაავიწყდა , რომ მარია'მოს უკან ნატაში განსხეულებული სალო იდგა და ალექსანდრეს მკვდრეთით აღსდგენას აპირებდა.

- იცით როგორ გახდა პირველი დედა'დედოფალი? მას შემდგომ რაც თავისი მამა და და'ძმები სხვასამყაროში გააგზავნა, ხალხს ეშინოდა მისი. ერთ დღესაც გამოჩნდა აჩრდილი, რომელიც თავს ესხმოდა ექვსივე მიწას და აწიოკებდა. გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და წინამძღოლად აირჩიეს ერთადერთი უკვდავი, რადგან სხვა არჩევანი არ ჰქონდათ ენდობოდნენ და გადაწყვიტეს თავადვე ეპოვათ ის წყეული აჩრდილი. იპოვეს კიდეც და დაამარცხეს, მაგრამ მან გაქცევა შეძლო. ყველგან ეძებეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. იმის შიშით რომ კიდევ დაბრუნდებოდა აღარ დაშლილან და შექმნეს პირველი სამეფო და მის მმართველად აირჩიეს სალომე პრაიმი პირველი ჯადოქარი და დედა'დედოფალი... ამბის გაგრძელება ვფიქრობ ყოველმა ჩვენგანმა კარგად იცის, მაგრამ არ გეცოდინებათ ერთი რამ, რაც აგერ უკვე ათასი წელზე მეტია საიდუმლოდ

იყო შენახული, ვინ იყო შავი აჩრდილი და რატომ აღარ გამოჩენილა.. სიმართლე კი ის არის, რომ სალომ, როგორც ჯადოქარმა თავადვე შექმნა ეს აჩრდილი იმ მიზნით, რომ ერთმანეთზე წაკიდებული მოკვდავები გაეერთიანებინა. როგორც უკვე მოვყევი ამან გაამართლა. მას შემდგომ ექვსივე მიწა ერთიანია..

- ეს კარგი - ჩაეჭრა ანა'მარია, მაგრამ ახლა რატომ გვიყვები?

- იგივე გაიმეორა ჩვენთანაც, ნუთუ ვერ ხვდებით? აჩრდილის მოვლენის ძალა არ ჰქონდა და ვერც გაჭრიდა ეს უძველესი ილეთი ჩვენზე, ამიტომაც თავად იქცა ჯალათად, შეგვაძულა მისი არსებობა, გამუდმებით თავს გვესხმოდა ცალ'ცალკე სანამ ყველა ერთად არ დავდექით და არ შევეწინააღმდეგეთ

- ანუ ამბობ რომ უნდოდა გავერთიანებულიყავით? უნდოდა დაგვემარცხებინა?

- განა მის თავდასხმას ვინმე შეეწირა? გვაზიანებდა, გვტკენდა, მაგრამ არავინ მოუკლავს!

- და შენ? - ჩაერთო საუბარში ვერონიკა

- როცა შენში იყო განსხეულებული შენივე ხელები მკერდში გაიყარა და გული ამოიცალა.. გაგიმართლა, რომ ნატამ დროულად მოგისწრო.. ამის დავიწყება როგორ შეიძლება?

- ეგ არ ვიცი, სიმართლე გითხრა არც დავფიქრებულვარ.. თუმცა იმ დროს, მე და ქეთო გადაკიდებული ვიყავით ერთმანეთზე მისი ჩარევის შემდგომ შევრიგდით სწორედ. როგორც ნატა ამბობს ხოლმე ქალმა ტაროს 23 ბანქო გაათამაშა, რომელიც იუწყება, რომ "თუ გინდა შენი დაუძინებელი მტერი შენი მოკავშირე გახდეს, შეუქმენი მას განსაკუთრებით დიდი პრობლემა, შემდგომ კი თავადვე მოუგვარე". სალოს ქმედებამ შეგვარიგა, გესმის? იცოდა რომ უდიდესი უბედურება ჯერაც წინ იყო და ჩვენ ასე გათითოკაცებული ვერ გავუმკლავდებოდით მას და იმის ნაცვლად, რომ ჩვენ, როგორც მისი პირმშოები ვყვარებოდით, დაგვიპირისპირდა და გაგვაერთიანა და ამიტომაც ვართ ახლა აქ ყველანი მას შემდგომ, რაც დავამარცხეთ ის უდიდესი ბოროტება, თუმცა ყველა მაინც ვერ გადაურჩა ამ [წყეულ] ცეკვას.. - ჩაილაპარაკა ქალმა და უკან მიტრიალდა.

ნატა არაფერში ერეოდა, სრული თავისუფლება ჰქონდა მიცემული სალოზე, რომელმაც იმის ნაცვლად, რომ გონების ბნელ ოთახში გამოეკეტა, მაშინათვე, როცა მის სხეულს დაეპატრონა მხოლოდ სანახევროდ გაავრცელა თავისი შესაძლებლობები, მაგრამ ის ფაქტი რომ ამდენი წლის შემდგომ მისი მარჯვენა ხელი ისევ ისეთი იყო? ისევ ისე გრძნობდა მას როგორც უწინ აღტაცებამ გადაფარა და მადლიერების ნიშნად არც კითხვებს სვამდა და არც ერეოდა მის საქმეში. უბრალოდ უყურებდა თუ როგორ მოძრაობდნენ მისი ხელები, ტუჩები კი რაღაც მისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ... ბოლოს სალო დაიხარა არსაიდან პატარა დამჭკნარი ყვავილი მოიმარჯვა ხელში ალექსანდრეს ყურზე ჩამოუდო კაცის სახესთან ახლოს მივიდა და უბრალოდ სული შეუბერა, როცა ყვავილი აყვავდა მხოლოდ ამის შემდგომ წამოდგა, გაიღიმა და მიბრუნდა "მაყურებლებისკენ" გაღიმებული შემდგომ ისევ კაცს მიუბრუნდა ორი ნაბიჯით დაშორდა და ზუსტად ამ წამს მოშავო'მოლურჯო უჯრედებით შემოისა კაცის სხეული, რომლებიც მხოლოდ მეწამულ უჯრედებად იქცნენ და მაშინათვე გაიფანტნენ ჰაერში.. მტვერ' ცალო. სალო არ ინძრეოდა, თითქოს რაღაცას ელოდა, დანარჩენები კი მას მიუახლოვდნენ ნელი თანაბარი ნაბიჯებით. მალევე სალოს ზუსტად 1 ნაბიჯში არსაიდან გაჩენილი ერთმანეთში გარდამავალი მოშავო'მოლურჯო უჯრედებმა ადამიანის ფორმა მიიღეს, შემდგომ კი გაიფანტნენ და ალექსანდრე დატოვეს.

ნატამ ვეღარ მოითმინა, ბოლო წამამდე არ ჯეროდა რომ ეს მოხდებოდა ამ მოულოდნელობისა ემოციური შეგრძნებებმა და მივარდა ჩასახუტებლად.

- ჯგუფური ჩახუტება - გაისმა უკნიდან და ყველა ერთმანეთს მოეხვია და ჩაეხუტა.

ნატა დაშორდა კაცს და ასე ერთ ხანს უყურა, მალე ალექსანდრემ წამოიწყო საუბარი. კაბა, რომელიც ანასტასიას ჰქონდა გადანახული სპეციალური იმ საღამოსთვის როცა უფლებას მისცემდა დასწრებოდა ინახებოდა ჩრდილოეთის მიწაზე ამიტომაც ლუკას თხოვა ამ საქმის მოგვარება.

- უბრალოდ რატომ უყიდი რაიმე ძვირიან წითელ კაბას? - კითხა ლუკამ

- არცერთი სხვა არ გამოდგება

- მაინც რა არის ამაში ასეთი განსაკუთრებული?

- თავად კერავდა და ხვეწდა წლების მანძილზე მხოლოდ იმისთვის რომ მაშინ ჩაეცვა, როცა მოვნათლავდი.

მარია'მო ჩაერთო საუბარში

- ნატამ ისედაც ბევრი გადაიტანა დღეს.. იქნებ მოასვენო? სხვა თუ არაფერი შენ ...

- ნატა არის აქ, დღეს და იყო ჩვენთან ერთად იმირომტომ შეუძლია გააკეთოს ის, რაც საჭიროა მას შემდგომ, რაც ბოლო ძალებსაც კი გახარჯავს - თქვა კაცმა და ნატას გახედა, გოგონას კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე და მიუახლოვდა კაცს

- თუმცა მარია'მოც მართალია, რატომ უნდა გახარჯოს მთელი ძალები, მაშინ როცა შემიძლია დავეხმარო - თქვა კაცმა მარცხენა ხელი ახლოს მიიტანა პირთან, იკბინა და ნატას გაუწოდა

- ანუ ეს იმას ნიშნავს რომ შევრიგდით? - კითხა გოგონამ თავმომწონედ

- ვფიქრობ ეს ამაზე მეტსაც კი ნიშნავს.. კაპიტანო!- უპასუხა ალექსანდრემ

როგორც წესი მოკვდავები კვებავდნენ უკვდავებს და არა პირიქით და ახლა ნატას შეეძლო შეჭრილიყო კაცის გონებაში და გაეგო ყველა მისი ფიქრი და გეგმები.. როცა გამოკვება დაასრულა, კაცს თვალებში ჩახედა. ალექსანდრემ გაუღიმა, რადგან გოგონა არ შემოჭრილა მის გონებაში.

- ის ისევ შენშია? - კითხა ალექსანდრემ ნატას. " არ არის აუცილებელი უთხრა, რომ ჯერაც აქ ვარ " , ნატამ გაუღიმა კაცს და სიტყვის უთქმელად უპასუხა, როცა უბრალოდ მეტად მიუახლოვდა და თვალებში მიაჩერდა, მისი თვალები რამდენჯერმე გამწვანდა.

ზუსტად მაშინ, როცა ალექსანდრე წელში გასწორდა და რაღაცის თქმას გეგმავდა , ერთიანად შავ უჯრედებში გაეხვა და როცა ისევ ადამიანის

სხეულის ფორმა მიიღო მარია'მო მივარდა და ხელები გაუკავა. ალექსანდრემ ერთი ხელის ძლიერი დარტყმით მოიცილა ქალი და შეუღრინა, უკნიდან ვერონიკა აესვეტა, მარცხენა ხელით სახე დაუჭირა და მთელი ძალით მარცხნივ მიუტრიალა. კისრის გადატეხვამ კაცი წამიერად გათიშა და ყინულის ფენისკენ ეცემოდა, როცა მარია'მო მიეშველა და დაიჭირა.

- აქ რა ხდება? - იკითხა ლუკამ

- ისეთი არაფერი - უპასუხა მარია'მომ და ოდნავი პაუზის შემდგომ დაამატა - ასე ხდება ხოლმე , როცა საკმარისზე მეტ ხანს იქნება გარდაცვლილი. მაშინ, როცა თვალები მთლიანად გაუშავდება ე.ი. შეგრძნების უნარს კარგავს, ყველას და ყველაფერს ებრძვის ირგვლივ

- და რას ვაპირებთ? - კითხა ლუკამ, მარია'მო ნატას მიუბრუნდა

- ნატა, ძვირფასო, გთხოვ, გადაგვისროლე ქეთოსთან, ის ერთადერთია, ვისაც ხელის ერთი შეხებით შეუძლია აღუდგინოს შეგრძნებები

- კი მაგრამ .. ქალმა ახლახანს გააჩინა ტყუპები.. - წარმოსთქვა ალექსანდრეს დამ, ანა'მარიამ

- ჩვენი რძალი ძლიერია, თანაც ყველაზე მთავარი უკან მოვიტოვეთ, ის ცოცხალია ახლა უბრალოდ საჭიროა გრძნობებიც დავუბრუნოთ - თქვა მარია'მომ და ლუკას გახედა

- ან შეგვიძლია დაველოდოთ და როცა გაიღვიძებს ეცადე მის დარწმუნებას, თუმცა შეგახსენებ, რომ მეგობრულ ჯახშიც კი გამარცხებდა, შენი აზრით სულ მცირე შანსი მაინც გაქვს მაშინ დაამარცხო, როცა არც კი ემახსოვრება ვინ ხარ და რას წარმოადგენ? მისთვის უბრალო ხორცის ნაჭერი იქნები, რომელსაც მოიხმარს და სანაგვეზე მოისვრის .. ასე რომ - დაასრულა მარია'მომ და ისევ ნატას გახედა - ნატა ძვირფასო, გთხოვ - ნატა მიუახლოვდა მათ, ორივეს შუბლზე აკოცა და ორი ნაბიჯით დაშორდა.. მოშავო უჯრედებში გაეხვა ორივე სხეული და ჰაერში გაიფანტა მტვერ'ცალო.

ნატა მოუბრუნდა ყველას და განუცხადა

- ახლა კი ყველას გელოდებით ჩვენს სახლში ნიღბების საღამოზე - მძიმედ სუნთქავდა ხელები მომუშტა, რადგან ყოველი მათგანი უნფს გადაეყვანა სახლში უკვე შელოცვის წარმოთმქს იწყებდა როცა უკნიდან ხმა მოესმა

- სალამი დაო, იცი, აუცილებელი არ არის ყველაფერი მარტომ გააკეთო - განუცხადა სოფია ცეცხლაძემ, რომელიც ბნელი ჯადოქრის სახელით იყო ცნობილი სამეფო კარზე, მიუახლოვდა ნატას ხელი ჩაკიდა და ერთიანი ძალებით შექმნეს ბარიერი, რომელმაც მოიცვა ყველა არსება და გადაისროლეს ნატასა და ალექსანდრეს სახლში, პირდაპირ საცეკვაო მოედანზე. როცა დაასრულეს სოფია მიბრუნდა გოგონასკენ

- ჩვენ არ წავიდეთ?

- შენ წადი და მეც დაგეწევი

- რატომ?

- Капитан покидает корабль последним или идет ко дну - სოფიამ აღარაფერი უპასუხა და უბრალოდ გაუჩინარდა.

თავად ნატა დარჩა ყინულის ფენაზე, მარტო, კიდევ ერთხელ დაფიქრდა თუ რა მოხდა დღეს და როგორ, როცა ვალტერს შანსი ჰქონდა მოეკლა, ამის ნაცვლად მისი დასაკუთრება მოინდომა, ანუ ერთი შეხედვით მიხვდა მის შესაძლებლობებს, ნუთუ იგივე მოხდა ალექსანდრეს შემთხვევაში?! ეს ფიქრი არ ასვენებდა გოგონას, ის ხომ მომაკვდავი იპოვა, შემდგომ თავისთან წაიყვანა, აქამდე ფიქრობდა რომ უბრალოდ ძალიან, ძალიან ... ძალიან გაუმართლა, მაგრამ ახლა ეჭვობდა, რომ ალექსანდრემ ერთი შეხედვით ამოიცნო მასში მისი ჭეშმარიტი ძალა და შესაძლებლობა და სწორედ ამიტომ აიყვანა თავის ოჯახში, მას შემდგომ 20 წელი გავიდა და არ ახსოვს ალექსანდრე ვინმე სხვას მოქცეოდა ასე, გადაწყვიტა ამაზე აღარ ეფიქრა. ღრმად ჩაისუნთქა მოშავო უჯრედები შემოიკრა მთელს სხეულზე, რომელიც პატარა ნაწილაკებად დაიშალა და ჰაერში გაიფანტა მტვერ'ცალო.

ქეთო მიუახლოვდა კაცს, რომელიც ძალიან უყვარდა და ელოდა მის გამოღვიძებას, თვალებს არ უჯერებდა, რომ მას ისევ მთელს და ცოცხალს

ხედავდა, გადაწყვიტა შეხებოდა, რადგან ილუზია ეგონა ეს ყველაფერი. ზუსტად იმ დროს, როცა უნდა შეხებოდა კისერზე წაუჭირეს და კედელზე მიანარცხეს, მისი მკერდი გაარღვიეს და ქალმა იგრძნო, როცა მისი გული მუჭში მოიქციეს "ალექსანდრე" წარმოსთქვა ქალმა , კაცს თვალები კუპრივით შავი ჰქონდა, ანუ ვერც ვერავის ცნობდა და არც გრძნობები ჰქონდა, ქეთომ ოდნავ გაიღიმა, ხელები მოხვია კისერზე, ახლოს მიიზიდა და მის მოლურჯო'მოწითალო ტუჩებს დაეწაფა, როცა კოცნაზე კოცნით უპასუხეს მიხვდა, რომ ამ ილეთმა ისევ გაჭრა, კაცი უკან გაიწია და მათ შორის მანძილი ერთ ნაბიჯამდე გაიზარდა

- ქეთო , მე ...

- არაუშავს, მთავარია ახლა აქ ხარ ჩემთან და მე არ ვაპირებ შენს სადმე გაშვებას! - უთხრა რა ქალმა სწრაფად გადალახა ერთ ნაბიჯიანი დისტანცია და მთელი სხეულით მიეტმასნა კაცს, ალექსანდრე ჯერ ქალის თითებს შეახო თავისი ხელი, შემდგომ ჯერ მკლავს აუყვა, შემდგომ ბეჭებს მანამ, სანამ ქალის კისრამდე არ ავიდა, ნიკაპი აუწია და სახე დაუკოცნა

- ბავშვებს სახელები აურჩიე? - კითხა ალექსანდრემ ჯერ მარცხენა, შემდგომ მარჯვენა ბეჭები დაუკოცნა ქალს

- ახლა მართლა შეგიძლია ამაზე ფიქრი? - უპასუხა ქალმა, თავი უკან გადასწია და მძიმედ ამოისუნთქა

- თავისთავად, ამ დროს მეტად სასიამოვნოა ყოველი სიტყვის წარმოთქმა, ასე არ არის? - არ ნებდებოდა კაცი , ბეჭიდან კისერზე, კისრიდან ნიკაპზე და ნიკაპიდან მთელს სახეზე დაუწყო ქალს კოცნა

- ლეილა და ზოი, რას ფიქრობ?

- ორივე გოგოა? - მოჩვენებითი წარბების აწევით უთხრა ალექსანდრემ ქალს. ქეთომ გადაიხარხარა

- ჰო, ტყუპი გოგონები გვყავს, გილოცავ!

- ტყუპები არიან? - გაიკვირვა ისევ კაცმა მოჩვენებითად. ქეთოს ისე გულიანად გაეცინა სიხარულის ცრემლები ჩამოვარდა თვალებიდან

- არავინ და არაფერი არ ღირს შენი ცრემლების ფასად - უთხრა ალექსანდრემ, ცერა თითით ცრემლები შეუწმინდა ქალს და თვალები დაუკოცნა

- სიხარულის ცრემლებია - თქვა გაბედნიერებულმა ქალმა და დაამატა

- მოგწონს?

- როგორ არ მომეწონება, როცა დედაჩვენების სახელები აარჩიე - უთხრა კაცმა და თვალებში ჩააცქერდა ქალს. ქეთომ ხელი ჩაკიდა ალექსანდრეს და საწოლისკენ გაუძღვა

- იცი, ეს ერთიანი სრული ყვითელი კაბა საერთოდ არ გიხდება

- ჰო, დიდად არც მე მომწონს, შეგიძლია ის გაუკეთო, რაც მოგესურვება - უთხრა ქალმა, ხელი გაუშვა მას საწოლზე ჩამოჯდა და სახეში დაუწყო ცქერა

- სპეციალურად ჩაიცვი, არა? - უთხრა კაცმა ხელები წელზე მოხვია ქალს სხეულზე მიიხუტა აწია მუხლებით ლოგინი გადაირა და მხოლოდ ამის შემდგომ გაუშვა ხელი. ქალი საწოლზე დაეცა.

- ამისთვის საკმარისად ჭკვიანი ვარ?

- მეთამაშები ცოლო? - უთხრა კაცმა და კბენა'კოცნით, კბენა'კოცნით ჩაუყვა კისერს და მის ქვემოთ..

- არ ვიცი ქმარო, გამომდის?

- მაშინ ჯელტმენურად მოპყრობას ნუ დაელოდები ჩემგან - ქალს გაეღიმა, ისეთი სახე ჰქონდა თითქოს სასურველი მიიღოო და კმაყოფილი სახით წაიჩურჩულა

- აი, უკვე მაკანკალებს, ხედავ..?! თქვა ქალმა თავისი ფრჩხილები ჩაასო კაცს ძლიერ ისე რო სისხლი წამოუვიდა შემდგომ აცადა შეხორცება და ისევ გაიმეორებდა ასე

- მხოლოდ მე მაქვს უფლება შეგეხო - თქვა კაცმა, ქეთომ ხელის გულებში მოიქცია ალექსანდრეს სახე, ჯერ თვალი გაუსწორა შემდგომ ტუჩები ახლოს მიუტანა ყურებთან და ისე უთხრა -

- მხოლოდ მე შემიძლია შეგეხო - უთხრა და ხელი გაუშვა კაცს, საწოლისკენ ეცემოდა, როცა ალექსანდრემ ქალს ხელი წელზე შემოხვია ახლოს მიიზიდა და ...

***

ნატა: რეკვიემი

- გილოცავ გამარჯვებას გენერალო - უთხრა საცეკვაო მოედანზე შემოსულ ალექსანდრეს დედა'დედოფალი ელენას უკანასკნელმა შთამომავალმა, ქრისტინა ჩილაჩავამ

- მარტო არ ვყოფილვარ - მოუჭრა კაცმა ცივად თავის ნათლულს და ანიშნა გაყოლოდა. თან ნატას უყურებდა, ცეკვას ასწავლიდა ლომკაცას, შეუხებლად. გაიღიმა ისეთი მხიარული ჩანდა, არადა მალევე მოუწევდა იმ ბანქოს გათამაშება, რომელიც შეცვლიდა მათ შორის დამოკიდებულებას.. სამუდამოდ!

მეორე სართულზე ავიდნენ და ოთახში შევიდნენ, სადაც ანასტასიას სხეული იწვა საწოლზე. იქვე სოფია იდგა და ჯადოსნური შელოცვისთვის ემზადებოდა. იაკოს დანახვა ალექსანდრეს გაუკვირდა. მოულოდნელი იყო და უდროო., მაგრამ მასთან მისვლა და ლაპარაკის დრო ახლა არ იყო და ამიტომ სოფიასკენ წავიდა.

- ყველაფერი მზად არის? -კითხა კაცმა, სოფიამ ჭიქა გაუწოდა კაცს, ალექსანდრემ მაჯაზე იკბინა და სისხლის აავსო იგი

- ჰო, ახლა უკვე ყველაფერი გვაქვს. მხოლოდ საჭირო ენერგიის პოვნაღა დარჩა, მის გამოსაცოცხლებლად - თქვა სოფიამ ფა ანასტასიასკენ გაიხედა. იაკო უკნიდან მოადგა ქრისტინას და ხელის სწრაფი მოძრაობით გაუყარა ზურგში და გული ამოაცალა!

- აი, უკანასკნელი დედა'დედოფალის გარდაცვალებით გამოთავისუფლებული ენერგია გამოდგება შელოცვის დასაწყებად - წარმოსთქვა იაკომ , თვითკმაყოფილმა!

- ეს რა გააკეთე? შეყვირა ალექსანდრემ. სოფიასაც უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამის ნაცვლად დადუმდა, გონებაში წარმოსთქვა საჭირო სიტყვები შელოცვის დასაწყებად

- გახსოვს ადრე მომიყევი ამბავი 500 წლის დაძველებით, წყვილზე, რომელიც ქალაქიდან გაიქცნენ წყვილზე რომელთა ოჯახები და სოფელი მხოლოდ დედა'დედოფლის ახირებას შეეწირა. ისინი ჩემი ხალხი იყვნენ ჩემი ჯიში და ჯილაგი. ის მიიღო რაც დაიმსახურა! ირონიულიც კია, იმდენს სურდა.. მაგრამ მხოლოდ მე შევძელი მისი წყეული დინასტიის დასრულება! - უთქვა ქალმა, ალექსანდრეს თავდასხმას მოელოდა, ნებისმიერი შედეგისთვის მზად იყო, მაგრამ კაცი იდგა, არაფერს არ აკეთებდა, ასე უბრალოდ იდგა, მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა გარდა იმისა რომ ელოდა, რაღაცას ელოდა, მაინც რას?! ვერ გაეგო ქალს.

- ერთადერთი რაც გააკეთე არის ის რომ საკუთარ თავს გამოუყვანე წირვა - თქვა კაცმა, იაკოს გაუკვირდა და როცა მიბრუნდა მისი ნამოქმედარის სანახავად დაინახა, რომ გოგონას სხეული მხოლოდ შავ უჯრედებში იყო გახვეული და მტვრად იქცა

- ის არასოდეს არ ყოფილა აქ და ამიტომაც ვერაფერი ვერ დაუშავე

- მაშინ სად არის?

- კავკასიის დასავლეთ მიწაზე, ცეკვავების სასახლეში, ყველაზე დაცულ ადგილას, მამასახლისთან ერთად.. მაგრამ ვშიშობ მას ვერ მიუახლოვდები

- იცოდი, რომ ასე მოხდებოდა არა?

- ვეჭვობდი, მე ხომ ნახევარი საუკუნეა გიცნობ, არა?

- მე არ.. - ვეღარ დაასრულა სათქმელი იაკომ, მხოლოდ ახლა მიხვდა თუ რამდენად სურდა სიცოცხლე, თუმცა იცოდა მისი ქმედებისთვის არსებობდა მხოლოდ ერთი სადამსჯელო ღონისძიება. ალექსანდრე ნელი თანაბარი ნაბიჯებით მიუახლოვდა ქალს

- სამწუხაროდ ბედნიერებას ვერ ვიპოვე ამქვეყნად იქნებ იმქვეყნად მაინც..

- სხვა'სამყაროში შევხვდებით.. მეგობარო - წარმოსთქვა კაცმა ძლიერად ჩაიხუტა ქალი და როცა იგრძნო თვალები დახუჭა, მარცხენა ხელი მკერდზე დაადო, შემგომ კი უსწრაფესად ამოგლიჯა გული და მისი უსულო სხეული იქვე სკამზე დასვლა. ერთიანად ბრაზში გაეხვა, ახლა მეტად მოუნდა იმ წყეული ბანქოს გათამაშება, რომელიც დიდი ხნის წინ მოამზადა, კარისკენ წავიდა და ოთახი დატოვა.

ალექსანდრე ქვემოთ დაეშვა, ერთ ხანს გაჩერდა, ნატასა და მის ლომკაცას დაუწყო ყურება...

- ახლა კი უნდა მაპატიო - უთხრა ნატამ ლომკაცას და ტრადიციულად საცეკვაო მოედნის ქვედა კიდეზე გაჩერდა, კიბეებზე ჩამომდგარ ალექსანდრეს გახედა და ტრადიციულად უკანასკნელ მელოდიაზე საცეკვაოდ დაპატიჟა

- აჰ, როგორც ჩანს უნდა მოვემზადო.. წარმატებები მისურვეთ - ჩაილაპარაკა ლუკამ თავისთვის.

ყველა გაიწია და როცა ალექსანდრე და ნატა დარჩნენ ალექსანდრემ წამოიწყო საუბარი

- თქვენთან ცეკვას არ ვაპირებ... გენერალო! - უთხრა და აზიური მისალმების მსგავსად წელში ოდნავ გადმოიხარა და თავი დაუკრა გოგონას.

- რა-ა? - წამოიწყო ლუკამ და მათ შორის ჩადგა

- არა, არა, არა და არა ... ა რ ა! - არ ჩერდებოდა კაცი

- არ შეიძლება ამსიოდენა ძალაუფლება გადასცე 33 წლის, თუმცა ჯერაც 19 წლის თინეიჯერული გადახრების მქონე ქუჩიდან აყვანილ ცანცარა გოგონას! - შემდგომ ნატას მიუბრუნდა კაცი

- პირადული არაფერია, უბრალოდ გენერალი უდნა იყოს უმოწყალო და დაუნდობელი და დაუმარცხებელი და არ უნდა მოექცეს ვისიმე ან რისიმე გავლენის ქვეშ და ზუსტად უნდა იცოდეს რას აკეთებს და როგორ აკეთებს და რისთვის აკეთებს - შემდგომ ისევ ალექსანდრეს მიუბრუნდა

- შენი აზრით ეს თვისებები აქვს მას? ის ხომ უკვდავიც კი არ არის, ალექს!

- გადაწვეტილება უკვე მიღებულია, მე მაქვს ასე მოქცევის უფლება.. წესები ხომ იცი არა?

- ჰაჰ, გგონია წესები არ ვიცი? თავად ვთარგმნე ეგ დაწყევლილი წესები... და რადგან წესები ახსენე იცი, შემიძლია მოვიპატო.. ნუთუ ფიქრომ რომ გამიმკლავდება?

- ამის გასაგებად მხოლოდ ერთი გზა არსებობს - უთხრა ალექსანდრემ და წამოვიდა საცეკვაო მოედნის შუა მხარეს. ნატამ ჩაერთო დიალოგში

- ვფიქრობ, არ უნდა გაგიჭირდეს ქუჩიდან აყვანილი გოგონას დამარცხება, არა?

- გინდა რომ ვიცეკვოთ? კარგი.. კარგი..! მოდი ვიცეკვოთ - ნატამ გაუღიმა, ხელები გაშალა და ტრადიციულად შექმნა ბარიერი, რომელმაც მთლიანი საცეკვაო მოედანი დაფარა და მის შუაში, ალექსანდრეს წინ გაჩნდა იარაღების სადგომი, ლუკა მიუახლოვდა იარაღებს -

- ხის.. სერიოუზულად? დაწყებითი სკოლაა? - იკითხა კაცმა დამცინავად- ნატამ თითები აამოძრავა და ხის იარაღები ნამდვილ ლითონის იარაღებად იქცნენ

- აი ეს კი უკვე სხვა საქმეა - აიღო ლუკამ მახვილი და ფარი, ნატა მიუახლოვდა ალექსანდრესთან საცეკვაოდ ორი ნაჯახის აღება სურდა, მაგრამ ლუკასთან პირველი ცეკვა ჰქონდა და გადაწყვიტა კარგად დაცდილი იარაღი მოემარჯვა. ამიტომ ორი საშუალო სიმაღლის მახვილი აიღო და მის წინ დადგა.

- ეს შენი პირველი "ტანგოა"? მე შენი პირველი ვარ? ამბობენ ყველაფერი პირველი დაუვიწყარი არისო - წარმოსთქვა ლუკამ თავმომწონედ, მახვილი და ფარი შეათამაშა ხელში. როცა საპასუხოდ მხოლოდ გოგონას გაკვირვებული მზერა დაინახა ისევ გააგრძელა

- უი, სულ დამავიწყდა, რომ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ 3 წუთის წინ შემოგვიერთდი.. ვიგულისხმე ეს შენი პირველი დუელია'მეთქი, საკუთარი ახლად ნ ა ჩ უ ქ ა რ ი გვირგვინის დასაცავად.. გეტყოდი ნაზად მოგექცევი'მეთქი, მაგრამ ვშიშობ ჩემი რეპუტაცია წინ მისწრებს და თან ვფიქრობ არც შენ მოგეწონება დათმობაზე წამოვიდე მხოლოდ იმიტომ რომ..

- იმიტომ რომ რატომ?

- იმირომტომ მდედრი ხარ და თან მოკვდავი..!

- ვფიქრობ ამდენს მხოლოდ იმიტომ ლაქლაქებ, რომ ზუსტად იცი.. ყ ო ფ ა ს გ ი ტ ი რ ე ბ! - დამარცვლა გოგონამ. ლუკას ესიამოვნა წინააღმდეგობა, მეტი ენთუზიაზმით ელოდა მოვლენების განვითარებას. გოგონას მიაშტერდა და ისე უთხრა

- ამას მეუბნება ზედმეტად თვითდაჯერებული პატარა ქალბატონი.. გამოწყობილი სტრიპტიზიორის კაბაში..! - დამცინავად წარმოსთქვა კაცმა და ისევ აათამაშა მახვილი ხელში

- თუ ჩემი კაბა დისკომფორტს გიქმნის.. შემიძლია უბრალოდ გავიხადო - გოგონამ თავი მარცხნივ ოდნავ გადახარა და გაუღიმა. ლუკას გაეცინა, მარცხენა ხელი ზურგზე მიიდო, მარჯვენა ხელი კი გულზე მიიდო და ოდნავ თავი დაუხარა გოგონას. შემდგომ ალექსანდრეს გახედა

- როგორც ჩანს, მართლაც კარგად გაგიწვრთნია - მერე მზერა ისევ ნატასკენ მიაპყრო - ვაღიარებ, შესანიშნავი კითხვა'პასუხი გაქვს, მაგრამ ვშიშობ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი გერქვას გენერალი, შენ სხვანაირად ფიქრობ.. კატერინა?

- კატერინა?

- დიახ, ეს ხომ შენი ნამდვილი სახელია, ასე არ არის..?! კატერინა სტრელცოვა, შენმა მამობილმა.. - თქვა ლუკამ და საჩვენებელი თითით ალექსანდრეზე მიუთითა - აგვიკრძალა შენს წარსულზე საუბარი, მაგრამ, რადგან ახლა საკუთარ სიცოცხლესაც კი ვრისკავ, ვფიქრობ, შემიძლია უგულებელყო მისი აკრძალვები..!

- უფლებას მისცემ ასე ითამაშოს? ეს ხომ წელს ქვევით დარტყმაა..! - უთხრა ნატამ ალექსანდრეს. თუმცა კაცი არაფერს არ ამბობდა უბრალოდ

უყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს. შემდგომ ნატა ისევ ლუკას მიუბრუნდა და ერთი ნაბიჯით შეამცირა მათ შორის მანძილი

- კარგი.. შეგიძლია ის თქვა, რაც მოგესურვება.. ჩემთვის სულერთია, რადგან ორივემ ვიცით, როცა მელოდია დასრულდება, დავრჩებით მე და შენი წყეული გრძელი ენა.. ჩემს ხელში..!

- მაშინ.. დავიწყოთ? - კითხა ლუკამ

- მიყურე თორემ გამოგეცეკვები ახლა - უპასუხა ნატამ, მარჯვენა ნაბიჯი უკან გადადგა წელში მოიხარა ორივე მახვილი ხელში შეათამაშა და დაელოდა თავდასხმას.

წესების თანახმად დამსწრე საზოგადოებას მხოლოდ პირველი და ბოლო შერკინების ნახვა შეეძლო. ამასთან, ნატას თავისი ჯადოსნური ძალების გამოყენება არ შეეძლო. ალექსანდრე როგორც მსაჯული ზუსტად შუაში იდგა. ნატამ თვალებით დაუწყო მის ლომკაცას ძებნა, ალექსანდრეს უკან იდგა, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა, როცა კაცისგან საპასუხო ღიმილი და თავის დაკვრა მიიღო მხოლოდ ამის შემდგომ კონცენტრირდა მის მორიგ მეწყვილეზე. ლუკა მთელი ძალით წამოვიდა ქალისკენ, ნატა მარჯვენა ფეხზე დადგა, წელში გადაიკეცა ოთხმოცდაათი გრადუსით და მარჯვენა ფეხზევე დატრიალდა, მარცხენა ბოლომდე გამართული ფეხი კი ლუკას მოუქნია. ლუკამ უკან დაიხია რამდენიმე ნაბიჯით, სახეზე ხელი მოისვა, თითებზე სისხლი აჰყვა, როგორც ჩანს ნატას ქუსლი ჩაეხუტა რა მის მარჯვენა ლოყას გაუჭრა კანი. კაცმა შეიწმინდა სისხლი სახეზე ჭრილობა კი მაშინათვე შეუხორცდა, ნატამ ალექსანდრეს გახედა, თავმომწონედ, კაცი ურეაქციოდ იდგა, ქვასავით, ტუჩები ამოატრიალა, ბარიერის გამო სხვა ვერავის ვერ ხედავდა. ყურადღება მოიკრიბა და ამჯერად თავად გადავიდა შეტევაზე...

8 შერკინებიდან ნატამ 7 ში გაიმარჯვა, და უკანასკნელი ჯახისას ჩამოიხსნა ბარიერი, ნატამ ორივე ხელით თმები შეისწორა და თვალებით ისევ მის ლომკაცას დაუწყო ძებნა, თვალები გაუფართოვდა, როცა დაინახა, რომ ალექსანდრე და მისი ლომკაცა საუბრობდნენ არც ისე მშვიდობიანად. ყურადღება გაეფანტა, მართალია ლუკას მოქნეული მახვილი დაბლოკა,

მაგრამ კაცი წელში მოიხარა ფეხებში მოუქნია ფარი და ნატა ძირს დაეცა. 7:1 გახდა ანგარიში, ნატა ისევ მათ უყურებდა, მძიმედ დაიწყო სუნთქვა ,როცა ალექსანდრემ ჩაწია კაცი და მისი საფირმო ჯალათის მახვილი ამოიღო. ნატა უკვე აღარ უყურებდა ლუკას, თვალს ადევნებდა ალექსს, კაცს მარჯვენა ხელში მახვილს ათამაშებდა მარცხენა ხელს კი აქნევდა მეტად გაბრაზებული. ამასობაში ლუკა მოუახლოვდა ქალს, რომელიც მისგან ზურგით იდგა, მახვილით სახე ზუსტად ისე გაუჭრა, როგორც დაწყებისას. ნატამ შემდგომ მარცხენა ფეხი მუხლს უკან ჩაარტყა, ქალი დაეცა. 7:2. ლუკამ უკან დაიხია, არ უნდოდა ასეთი გამარჯვება, მისთვის უბრალოდ გამარჯვებაზე მეტად, სამართლიანად გამარჯვება იყო მნიშვნელოვანი. ამიტომ მოშორებით დადგა და ელოდა როდის მოიცლიდა მისი უდიდებულესობა ნატალია სტიუარტი.. მისთვის! ქალი წამოდგა თავის მახვილებს დაეყრდნო, თითქოს მუხლებში ძალა წაერთვა, ამიტომაც ჯერად დაჩოქილი იყო, როცა ალექსს მიმართა - ალექს გთხოვ, არ არის საჭირო, შეჩერდი.. გთხოვ - მაგრამ კაცი ზედაც არ უყურებდა. გოგონა ემუდარებოდა, რომ შეჩერებულიყო

- ალექს lütfen, lütfen ალექს, lütfen - მაგრამ კაცს აღარაფერი ესმოდა

- Разве будущая нашей расы не стоит одной чёртовой жизни?! - გამოცრა კაცმა მთელი სიმკაცრით და ლომკაცას მიუტრიალდა. ისეთი დასჯა მოუწყო როგორც ყველას, მის მახვილთ ჯერ მარცხენა ზედა კიდური მოკვეთა, შემდგომ მარჯვენა, შემდგომ ორივე ქვედა კიდური ერთად, შემდგომ შუაზე გადაჩეხა კაცი და ბოლოს თავი წააცალა. გოგონას არსაიდან მოუვიდა ძალა, წამოდგა, ლუკამ ეს რომ დაინახა მისკენ გაემართა, ნატამ მახვილები ძირს დაყარა ლუკას მოქნეული მახვილი მარცხენა ხელით გააკავა შემდგომ მიუახლოვდა კაცს, მარჯვენა ხელის მოგრძო ფრჩხილებით კისერი მთლიანად გამოუღო. ლუკა მოწყვეტით დაეცა და ბარიერიც ჩამოიხსნა. გოგონამ სწრაფი ნაბიჯებით დაიწყო ალექსანდრესკენ სვლა. ქეთო, რომელიც საცეკვაო მოედნის კიდეში იდგა, უეცრად დაიმანჭა, პირი გააღო, მაგრამ ვეღარაფერი თქვა, როცა უეცრად მისი მკერდიდან გული ამოვარდა.. ქალი მოწყვეტით დაეცა მიწაზე.

- Сперва я отберу у тебя твоё бессмертие.. - დაიწყო ნატამ საუბარი, მარჯვენა ხელი ზემოთ ასწია და მეორე ნაბიჯზე ქეთოს გული შერჩა ხელში. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა ეს საიდუმლო.

ალექსანდრე არც ისეთი ხელშეუხებელი იყო ,როგორც ყველას ეგონა. ქეთო. ეს წაბლისფერთმიანი გოგონა გახლათ ალექსანდრეს უკვდავების წყარო. ახლა კი, ალექსანდრეს უკვდავებაც გაუჩინარდა, ქალის სიცოცხლესთან ერთად.

ნატამ მუჭი შეკრა სისხლიანმა გულმა მთლიანად დაუსვარა ხელები და შემდგომ ძირს დააგდო და ერთ ხანს შეჩერდა. ამის დანახვაზე ყველა ალექსანდრეს წინ დადგა, დები ცეკვავების ჩათვლით. ისინი ვის გამოც მზად იყო სიცოცხლეც კი გაეღო, ახლა მათ წინააღმდეგ წავიდნენ. განა მათ მხარდამხარ არ იბრძოდა იმ დაწყევლილ ბრძოლის ველზე.. წეღან? მაშინათვე ტაროს 15 ბანქო მოაგონდა. " ამ ცხოვრებაში, არ არსებობს მხარეები, მხოლოდ მოთამაშეები. "

- Я вас уничтожу - თქვა ქალმა და არსაიდან მოსული თავდაჯერებულობით წავიდა წინ

- Я уничтожу вас всех - ნატამ მკლავები გაშალა, ხელები შეატყუპა და შემდგომ სწრაფადვე დააშორა ერთმანეთს და როგორც მოსემ წითელი ზღვა, ყველა, ვინც ალექსანდრეს წინ იდგა ზოგი მარჯვნივ, ზოგიც მარცხნივ გაიწია და თან ცეცხლის ალში გაეხვა.

- А теперь твоё чёртово Ж И З Н Ь! - მიუახლოვდა გოგონა

- ნუთუ მკვდრეთით იმისთვის აღგადგინე, რომ საკუთარი ხელით მომეღო ბოლო შენთვის?! - კაცი დუმდა და არაფერს არ პასუხობდა.

- ფიქრობ გულს ამოგაცლი, არა? ამისთვის უნდა გქონდეს ეგ დაწყევლილი გული ... მეგობარო!მთელი არსებით მძულხართ.. ალექსანდრე სტიუარტ - უთხრა გოგონამ და ელოდა მისგან რაიმე ემოციას მაინც, თუმაც უშედეგოდ.

- ჩვენი გრძნობები ორმხრივია ნატალია... სტიუარტ! - ისე გულცივად წარმოსთქვა კაცმა, რომ ეს სიტყვები მზეს რომ მოხვეოდა ერთ პატარა თოვლის გუნდად აქცევდა. ნატა გაბრაზდა გაშლილი მარჯვენა ხელი გულზე დაადო მის გენერალს.. კაცის სხეული პატარა ყინულის ნატეხებად იქცა.

ნატამ ლომკაცას სხეულის ნარჩენებისკენ წავიდა, დაიხარა, ერთიანად გრძნობებში არეული, გაღიზიანებული, საერთოდ ვერ ხვდებოდა რა უნდა გაეკეთებინა.. ამასობაში კი უკნიდან ტაშის კვრა მოესმა და გაკვირვებული მაშინათვე შებრუნდა

- შენთვის საკმარისად სასტიკი და უმოწყალო იყო? - კითხა ალექსანდრემ მის გვერდით მდგომ ლუკას. ნატა წელში გაიმართა. როცა ლუკას გვერდით მისი ლომკაცა დაინახა, რომელიც თანაგრძნობის მზერით უყურებდა მას. შემდგომ მიმოიხედა და აღმოაჩინა, რომ ყველა მისი მსხვერპლი, მოწითალო'მოშავო უჯრედებად იქცა. დაწყნარდა, დამშვიდდა როცა მის ლომკაცას ცოცხალს და უვნებელს ხედავდა

- ეს რა ჩაიდინე? - კითხა ნატამ ალექსანდრეს და შეეცადა რამე ახსნა ეპოვა თუ რატომ დასჭირდა კაცს ამ წყეული ბანქოს გათამაშება. დაფიქრდა, დაფიქრდა, კიდევ დაფიქრდა და ვერ მიხვდა, რაში დასჭირდა ალექსანდრეს ეს წყეული თეატრალური დადგმა.

- მოგესალმები ... კაპიტანო! ვწუხვარ თუ იმედები გაგიცრუე, ალბათ ვარდებს ან/და ტორწიკს ელოდი, მაგრამ ეს საქმე ასე არ კეთდება! ეს სკოლის გამოსაშვები საღამო კიარა მოსაწვევია უმაღლესი ლიგაში. და უფროსების მაგიდაზე სკამის მიღებას თავისი საფასური აქვს!

- რა თქმა უნდა, ძალიან კარგადაც ვიცი, ყველა ვინც დაგიახლოვდება.. ვერონიკა, მარია'მო.. მე! უწევს ამისთვის გადაიხადოს, უარი თქვას თავის მგრძნობიარე, კარგ და კეთილ ნაწილზე.. ზუსტად შენნაირი უნდა გახდეს! ჩემი ბრალია, ხო ჩემი ბრალი! ნეტავ სხვას რა მოველოდი? შენთან დაახლოების შემდგომ იქცა ვერონიკა დედა'დედოფლის ჯარის მთავარსარდლად, მარია'მო კი სამეფო ჯალათად და მე.. გილოცავთ.. გილოცავ! შენ გაიმარჯვე! მაინც შენი გაიტანე! შემქმენი რა შენს სახედ და ხატად, გულცივ, უმოწყალო, დაწყევლილ ჯალათად, მაშინ როცა უბრალოდ უნდა გყვარებოდი.. გესმის? უბრალოდ უნდა გ ყ ვ ა რ ე ბ ო დ ი! - წარმოსთქვა რა გოგონამ ბოლო სიტყვა, ხელები ერთიანად მომუშტა და ამ ორ სართულიანი სახლის ყველა მინდა ერთდროულად ჩაიმსხვრა.. გამოსტყორცნილმა ტალღამ ყველანი კედელს მიანარცხა.. გარდა ალექსანდრესა. კაცმა ერთი ნაბიჯით შეამცირა მათ შორის დისტანცია და ცივად წარმოსთქვა

- არსებობს მიზეზი, თუ რატომაც არ ეწრთობა ფოლადი,ოთახის ტემპერატურაზე, კაპიტანო..! - ნატა წელში გასწორდა, მიხვდა რა მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა ხელებით თმები შეისწორა და ლუკას გახედა, რომელიც საუბარში ჩაერთო

- Единственный человек который сможет помочь тебе покорить вершину это он ... - თქვა ლუკამ და ალექსანდრესკენ გაიშვირა ხელი

- Это Я - ჩაერთო ალექსანდრე

- Ты всегда учил мне принимать решения самостоятельно, неужели это будет исключением

- Ну тогда сама решай хочешь стать чемпионкой или второсортной.. как все остальные

- Я счастливый хочу стать - თქვა ქალმა და მის ლომკაცაზე შეაჩერა მზერა.

- ნუთუ.. - წამოიწყო საუბარი ანასტასიამ და ენა დაება. კიბეებზე შეჩერდა, მიმოიხედა და მხოლოდ ამის შემდგომ შეძლო აზრებისთვის თავის მოკრეფა

- ჩემს გარეშე დაასრულეთ? - თქვა ქალმა და ალექსანდრეს არ აცილებდა თვალს.

- ალექს, ეს ღალატია! ამას ასე არ დავტოვებ, გინდა იხილო ჩემი რისხვა? გაჩვენებ ჩემს [დაწყევლილ] რისხვას! წარმოსთქვა ქალმა, სართულებს შორის მაკავშირებელ კიბეებს უშვა ხელი და გაუჩინარდა. ვითომც არაფერი მომხდარიყო, ლუკამ ისე გააგრძელა საუბარი

- მაშინ, ჩემო მეგობარო, მოგიწევს ვინმე ახლის პოვნა - უთხრა ალექსანდრეს. კაცი ისევ მიშტერებოდა ნატას და არაფერს არ ამბობდა

- ჩემს თავს ვერავინ ვერ ჩაგინაცვლებს - წარმოსთქვა ნატამ დინჯად და წყნარად. უკვე გაუჩინარებას გეგმავდა, მაგრამ შეამჩნია რა ალექსანდრეს ტუჩების ამოძრავება, დააინტერესა თუ რა ჰქონდა სათქმელი კაცს. ალექსანდრემ თანხმობის ნიშნად ჯერ თავი დაუკრა რამდეჯერმე შემდგომ კი სთქვა

- ვიცი.. ზუსტად ვიცი.. განა, თავად არ ვიცი?! - ნატას ოდნავ გაეღიმა და გაუჩინარდა.

- შენი აზრით რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა მისთვის ამხელა ძალაუფლების მიცემა? - კითხა ლუკამ

- ვფიქრობ ეს ერთ'ერთი საუკეთესო გადაწყვეტილებაა, რაც მიმიღია ჩემი ორას წლოვანი ცხოვრების მანძილზე

- ფიქრობ კარგი გენერალი იქნება?

- ვფიქრობ უკეთესიც კი იქნება - ლუკამ აღარაფერი უთხრა უბრალოდ მოცილდა კაცს. ლომკაცა მიუახლოვდა ალექსანდრეს, რომელიც ჯერაც იმ ადგილს მიშტერებოდა, სადაც ნატა იდგა.

- იცი, ძალიან აწყენინე

- ასე ფიქრობ?

- ასე ვიცი! რადგან..

- ვფიქრობ, შენთვის არავის არაფერი არ უკითხავს, ასე არ არის?

- მე უბრალოდ დახმარება მინდოდა, ძალიან აწყენინე..!

- მე და მას განსაკუთრებულად უხეშადაც გვიცეკვია წარსულში და თან არაერთხელ, ასე რომ ამასაც გადაიტანს!

- ხომ მაგრამ, შენ უფლება მიეცი მოეკალი, გესმის მაინც რამხელა ტკივილია იმით ცხოვრება რომ საყვარელი ადამიანის სიცოცხლე თავადვე მოსპე?

- მაგრამ ეს ხომ უბრალოდ დადგმა იყო, არა?

- ტვინს არ შეუძლია განასხვაოს რეალობა და ილუზია ერთმანეთისგან და თან ვფიქრობ..

- ჩემი აზრით, იმაზე უნდა იფიქრო აწი რა იქნება, იცი, ახლა როცა ყველამ დაინახა რამდენად ძვირფასი ხარ მისთვის და თუ რამდენად ძლიერია, ყველა ვინც მოინდომებს მის წინააღმდეგ წასვლას, მათი პირველი სამიზნე სწორედ შენ იქნები, მეგობარო! რადგან ჩასახუტებლადაც კი ვერ მიეპარებიან არათუ ბრძოლის ველზე შეძლებენ

მის დამარცხებას! - ლომკაცამ არაფერი უპასუხა, უბრალოდ იდგა ჩაფიქრებული.

- ცუდად არ გამიგო, თქვენი ურთიერთობის დასაწყისი თავიდანვე ვიცოდი და წინააღმდეგი, რომ ვყოფილიყავი იქამდე მოვაგვარებდი ამ "პრობლემას" მანამ, სანამ იმდენად მნიშვნელოვანი გახდებოდი მისთვის რომ წირვას გამომიყვანდა. ახლა კი აჯობებს მოინახულო და დააწყნარო

- არც კი ვიცი სად ვეძებო

- ხო, სულ დამავიწყდა, რომ ჯერაც ახალბედა ხარ, - თქვა ალექსანდრემ და სოფიას გახედა, - ძვირფასო შეგიძლია ჩვენი ლომკაცა გადაისროლო ჩვენ სახლში?

- მაგრამ ეს ხომ არის თქვენი სახლი - იკითხა ლომკაცამ

- აქ უბრალოდ ვცხოვრობთ ადგილი კი, რომელსაც სახლს ვეძახით სხვაგან არიან აქიდან ძალიან შორს.

- კონკრეტულად სად გსურს? - კითხა სოფიამ, თითქოს მათი დიალოგი არ მოუსმენია

- საძინებელში აჯობებს, ნატა გრძელ სკამზე იჯდება ყავით ხელში

- ამდენად კარგად იცნობ მას?

- რა თქმა უნდა, ბიძაჩემმა ეგ სახლი სპეციალურად ააშენა იმისთვის, რომ მზის ამოსვლა ეყურებინა. ..და ხო, თუ მის წყენინებას გადაწყვეტ, ჩემი უკვდავების ნაწილს გაგიზიარებ, რკინის სეიფში გამოგკეტავ და ღრმა წყალში ჩაგაგდებ.. შედეგად ყოველ დღე, დაიხრჩობი.. До скончания времён! სოფიამ ტუჩები მიადო ლომკაცას , რომელსაც მოწითალო'მოშავო უჯრედები შემოიკრა და გაუჩინარდა.

როცა ალექსანდრემ მარტო დარჩა, ლუკა მიუახლოვდა ბეჭზე ხელის შეხებით ბარიერი შექმნა, რომ მათი საუბარი ვერავის ვერ მოესმინა და ვერც ვერავის დაენახა მათ იქ ყოფნა.

- გისმენ, ვფიქრობ რაღაც გაქვს სათქმელი

- მაინტერესებს რას აპირებ

- რას ვაპირებ?

- ხო, რას აპირებ ალექს? რადგან შენს გამო გადავიკიდე აწ უკვე ახალი გენერალი.. გესმის მაინც რას ვეუბნებოდი? რა საზიზღრობები გავაჟღერე მხოლოდ იმირომტომ, როცა ჩემი მოკვლა მოუწევდა არც კი დაფიქრებულიყო

- და?

- და ის, რომ ახლა როცა ძალიან გაბრაზებულია, შენი აზრით ვისზე იყრის ჯავრს?

- ჩემზე - თქვა ალექსანდრემ

- არა, ჩემზე! ახლა ჩვენმა დადგმამ ერთიანად აურია ყველა შეგრძნება და ემოცია, აი, მე კი სულ ცალ ფეხზე ვკიდივარ და შესაძლოა თავს მხოლოდ იმიტომ დამესხას, რომ საქვეყნო შეტყობინება გააგზავნოს, რომ უპატივცემულობას ა რ ა ვ ი ს გ ა ნ არ მოითმენს ჩემისთანა ძლევამოსილი და გავლენიანი არსებისგანაც კი..!

- გასაგებია, უბრალოდ გეშინია

- მშიშარა არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ გენერლობა მხოლოდ მისი ლამაზი თვალის ჭრილის გამო არ ჩაგიბარებია, მე კიდევ ძალების დატოლების ხასიათზე არ ვარ, გუშინ ისტორიაში არსებული ყველაზე დიდი მტერი დავამარცხეთ, უბრალოდ რატომ არ დავტკბებით გამარჯვებით?

- რა გინდა რომ გავაკეთო?

- მინდა, რომ თავი ტრაკიდან გამოიღო! იპოვო გზა და გოგონა დროულად შემოირიგო, მანამ სანამ ჩემი არსებობა გაახსენდება და გადაწყვეტს გამომიცეკვოს! - დაასრულა რა სათქმელი ლუკამ ზურგი აქცია კაცს და როცა ორი ნაბიჯი გადადგამ მხოლოდ მაშინ მოუბრუნდა

- და კიდევ, იმედი მაქვს შენი გარეული რუსი პანტერას, ანასტასიას, შემორიგების გეგმაც გაქვს, ალბათ საჭირო არ არის შეგახსენო, რომ მან იცის, სადაც არის გვამები დამარხული, როცა ერთს ამოთხრის დანარჩენ ასსაც ნახავს და თუ პირი გააღო მოგვიწევს დანარჩენ მსოფლიოსთან თავი ვიმართლოთ თუ რატომ გახდა მათ ამოხოცვა აუცილებელი. მე კიდევ ამის ხასიათზე არ ვარ. ამიტომ თუ ხვალ დილით შემორიგებული არ იქნება,

შუადღისას, დღისით'მზისით თავს დავესხმები და წირვას გამოვუყვან, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი შენთვის ძვირფასია, რადგან ყოველთვის, როცა მას ხედავ გახსენდება დედამისი, შენი პირველი მეორე პილოტი.. ასე, რომ უბრალოდ მოაგვარე ეს საქმე!

- დაასრულე?

- მგონი კი

- ძალიან კარგი, ხვალ ანასტასია მოინათლება და ეს "პრობლემაც" მოგვარდება და იმედი მაქვს შენი ბრაზი ბოლომდე გადმოანთხიე, მგონი უნდა შეგახსენო, რომ მე არ ვმუშაობ შენზე! ეს შენ მუშაობ ჩემზე! და მეტად მსგავსი ნაგვის ჩაყლაპვას აღარ ვაპირებ, ამიტომ კეთილი ინებე, ტონი და სიტყვები შეარჩია სხვა შემთხვეაში თავადვე ავასრულებ ნატას სიტყვებს.. ამოგგლეჯ რა მაგ დაწყევლილ ენას..! ახლა კი, შენის ნებართვით, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს, ვიდრე იმის ახსნა თუ როგორ არის ეს სამყარო მოწყობილი - როცა საბოლოოდ მორჩა ალექსანდრე სათქმელს, ხელის აწევით დაემშვიდობა ლუკას და ბარიერიც მოიხსნა.